რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2016-2017 წლების ანგარიში

თბილისი, 2018

# სარჩევი

## 2016 წლის ანგარიში

**რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე** ........ 6

**რელიგიური უმცირესობების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა** ........ 9

**ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის** ........ 15

**სახელმძღვანელო - სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში** ........ 19

**სერია - რელიგია და სამართალი** ........ 20

**რელიგიური რუკა** ........ 21

**კონფერენცია - ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის** ........ 22

**მოხეს კომისია** ........ 25

**საერთაშორისო ურთიერთობები** ........ 27

**საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედია** ........ 31

**რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია** ........ 34

**2016 წელს განხორციელებული აქტივობები** ........ 35

**დანართი - ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში (2016)** ........ 36

## 2017 წლის ანგარიში

**რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე** ........ 50
რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ზოგადი აღწერა ........ 50
მიტროპოლიტ ისაიასთვის გადაადგილების შეზღუდვისა და შევიწროების შესახებ ........ 52
ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა ........ 53
ოკუპირებულ ტერიტორიებზე მართლმადიდებლურ მრევლში არსებული ქაოსი ........ 56
**ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წწ.)** ........ 57
საჯარო მოხელეების ტრენინგები ........ 57
ტრენინგები შ.ს.ს-ს თანამშრომლებისათვის ........ 58
რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო დაწესებულებათა ქცევის წესებში ........ 59
**საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით** ........ 59
ინტერრელიგიური კალენდარი ........ 59
რელიგიური რუკა ........ 60
„ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის" - მეორე კონფერენცია ........ 61
სარეკლამო კამპანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით ........ 61
ტოლერანტობის დღე ........ 62
**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტივობები** ........ 63
საჯარო გამოსვლები და ლექციები ........ 63
მედიასთან ურთიერთობა ........ 64
პუბლიკაციები ........ 65
**რელიგიური უმცირესობებისთვის გაწეული დახმარება და საქველმოქმედო აქციები** ........ 66
**საზოგადოებასთან ურთიერთობა** ........ 67
საერთაშორისო ურთიერთობები ........ 67
საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა ........ 69
მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ ........ 69
**რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში** ........ 70
**სასამართლო პრეცედენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ** ........ 70
**ინტერრელიგიური საթათბირო** ........ 73
**რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია** ........ 74
**რელიგიური პრობლემების პრევენცია და გადაწყვეტა** ........ 75
ე.წ. მოხეს კომისია ........ 75
სოფელ კუმურდოს ინციდენტი ........ 77
**შეფასებები რელიგიის თავისუფლების შესახებ** ........ 78
**დანართი - ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში (2017)** ........ 78

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო**

# 2016 წლის ანგარიში

# რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

## აფხაზეთი

აფხაზეთის ტერიტორიაზე რელიგიური თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა უკიდურესად რთულია, კერძოდ, დარღვეულია ქართველების :

- რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;

  რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით;
- გადაადგილების თავისუფლება;
- განათლების უფლება;

რაც გამოიხატება შემდეგში: ქართული მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიიდან გამოდევნილია, შესაბამისად, მართლმადიდებლურ ტაძრებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს. ამ ტაძრებში ღვთისმსახურებას აფხაზები ეწევიან, „აფხაზეთის ეპარქიის" ნაწილი დღეს რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას ექვემდებარება, ნაწილი კი - კონსტანტინოპოლის ეკლესიას. ამ ორ ძალას შორის დაპირისპირებაა.

გალის რაიონშიც ანალოგიური მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ ტერიტორიაზე ოფიციალურად დარეგისტრირებულია 16 000 ქართველი და 4 ქართული ეკლესია, ოთხივე ქართველების მიერ აღდგენილი, არც ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში ქართულ ენაზე არ აღევლინება წირვა-ლოცვა. ქართველ სასულიერო პირებს, რომლებიც პერიოდულად გადადიან ამ ტერიტორიაზე, რადგან გალის რაიონის ძირძველი მკვიდრნი არიან, არ აქვთ რელიგიური მსახურების შესრულების უფლება. დღეს გალის ქართულ მოსახლეობას ესაჭიროება ქართველი სასულიერო პირი, რადგან თავიანთი რელიგიური უფლებების განსახორციელებლად ისინი ღამით მალვით გადადიან ზუგდიდში, განსაკუთრებით დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე და იქ ესწრებიან ღვთისმსახურებას.

აფხაზეთის ეპარქიის სასულიერო დასი მზად არის შევიდეს ამ ტერიტორიაზე და აღასრულოს ღვთისმსახურება.

სავალალოა ქართული ტაძრების მდგომარეობაც, მასობრივად მიმდინარეობს ქართული კვალის წაშლა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, ეკლესიებზე, ტაძრებზე. თითქმის ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში წაშლილია ფრესკები; ზოგიერთ შემთხვევაში ტაძრები გადაღებილია, ზოგიერთში - კი შეცვლილია არქიტექტურული იერსახე. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში ილორის წმიდა გიორგის ბაზილიკის ტაძარს დადგმული აქვს რუსული გუმბათი და გადაღებილია. ასეთივე მდგომარეობაა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებშიც.

ამასთან, ამ რაიონში არ არის ქართული სკოლა. მშობლიური ენის შესანარჩუნებლად ქართველი მოსახლეობა ტოვებს ამ ტერიტორიას, საკუთარ სახლ-კარს და გადადის ზუგდიდში, რათა ბავშვები იქ შეიყვანონ სკოლაში.

# შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილი

შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში ასევე დარღვეულია ქართველების:

- რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით;
- გადაადგილების თავისუფლება;

რაც გამოიხატება შემდეგში: შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილი მოიცავს 4 რაიონს: **ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა** და **ახალგორის** რაიონებს. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ (2008 წელი) აღნიშნულ რაიონებში რელიგიის თავისუფლების მიმართულებით არსებული ვითარება ასეთია: ცხინვალის, ზნაურისა და ჯავის რაიონებიდან ქართველი სასულიერო პირები სრულად იქნენ გამოდევნილი. ამ რაიონებში ქართულ, მართლმადიდებლურ ტაძრებში დღეს წირვა-ლოცვას აღავლენენ ოსები, რომლებიც გამოეყვნენ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და დაექვემდებარნენ საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განდგომილ ერთ-ერთ ეკლესიას – CHURCH OF THE CENUINE ORTHODOX CHRISTIANS OF CREECE HOLY METROPOLIS OF OROPOS AND PHYLE -ს (ვებგვერდი: www. hsir.org ; www.cominf.org).

ამასთან ერთად, რუსეთის ვლადიკავკაზის ეპარქიამ, კანონიკური წესების დარღვევით, ცხინვალში ააშენა რუსული ეკლესია, უკანონოდ მიმდინარეობს რუსი სასულიერო პირების ხელდასმა და მათი მეშვეობით ქართველი სასულიერო პირების მიზანმიმართულად ჩანაცვლება.

რაც შეეხება ახალგორის რაიონს, ამ ტერიტორიაზე დღეისათვის 8 მოქმედი ეკლესიაა, იქ მომსახურე სასულიერო პირები: დეკანოზი დავითი (დურგლიშვილი), დეკანოზი გიორგი (გოჩაშვილი), დეკანოზი რაჟდენი (გინტური), დეკანოზი დავითი (ჭიღლაძე), იღუმენი იოანე (სამუშია) გამოდევნილი არიან ამ ტერიტორიიდან და იქ შესვლისა და ღვთისმსახურების აღსრულების უფლება არ აქვთ. აღნიშნულ ტაძრებში ღვთისმსახურებას მორიგეობით აღასრულებს მხოლოდ ორი სასულიერო პირი – ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია( ჯანტურია) და მღვდელმსახური ანტონი (ჩაკვეტაძე).

სამი წელი სრულდება, რაც ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას (ჯანტურია) ჩამოერთვა ახალგორიდან გამოსვლისა და მის დაქვემდებარებაში არსებული ეპარქიის სხვა (არაოკუპირებულ) რაიონებში ღვთისმსახურების აღსრულების უფლება. ამასთან, გასათვალისწინებელია მისი ჯანმრთელობის უკიდურესად რთული მდგომარეობაც.

ამ შეზღუდვებთან ერთად, შემაშფოთებელია დასახელებულ რაიონებში არსებული საკულტო ნაგებობების მდგომარეობა. ქართული მართლმადიდებლური ტაძრების ნაწილი დანგრეულია, ნაწილზე კი სისტემატურად მიმდინარეობს არალეგალური სარესტავრაციო სამუშაოები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფრაგმენტებზე აშენებულია ახალი ტაძრები, სახეშეცვლილია არაერთი ეკლესია, საომარი მოქმედებების დროს დანგრეულია ბევრი მათგანი, კერძოდ:

**2008 წელს საომარი მოქმედებების დროს დანგრეული და დაზიანებული ძეგლები:** **ნიქოზის** სამონასტრო კომპლექსი (IX ს.), **ხეითის** მთავარანგელოზთა ეკლესია

(XVIII), საომარი მოქმედებების დროს დაიწვა **სვერის** წმ. გიორგის ხის ეკლესია (XIX), დაზიანდა **ქემერტის** 1999 წელს აგებული მთავარანგელოზთა ეკლესია.

**2008-2014 წლებში ძეგლებზე ჩატარებული არალეგალური სარესტავრაციო (სარემონტო) სამუშაოები:**

- ცხინვალის ცენტრში მდებარე 1718 წელს აგებულ **ღმრთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარს** სამხრეთიდან მიაშენეს მცირე ზომის ეკვდერი, რამაც დაფარა 1718 წელს შესრულებული ქართული საქტიტორო წარწერა. ახალი კარიბჭე აიგო ჩრდილოეთის მხრიდანაც;
- არალეგალური სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა **თირის** მონასტერშიც (მე–13–მე–17 სს.);
- 2014 წელს დაიწყო **აჩაბეთის** ციხის (მე–16 ს.) „აღდგენა“. სარემონტო სამუშაოების შესრულება არაკვალიფიციურმა ხელოსნებმა განახორციელეს, სამუშაოებში მოხალისეებად სკოლის მოსწავლეებსაც იხმარდნენ.
- არაპროფესიული რესტავრაციის ყველაზე მძიმე შედეგი **გომართას** წმ. გიორგის ეკლესიის მაგალითზე აისახა (მე–16 საუკუნე). 2014 წელს ჩატარებულმა „სარესტავრაციო“ სამუშაოებმა არა მხოლოდ დააზიანა, არამედ სახე უცვალა ეკლესიას. დასავლეთი ეკვდერი ერთიანად – როგორც გვერდითი კედლები, ასევე სახურავი – ცემენტით შეილესა, რამაც დაარღვია და დაამახინჯა ეკლესიის საერთო პროპორციები;
- **გერის** წმ. გიორგის ეკლესიას (გვიანი შუა საუკუნეები) უტარდება აღდგენითი სამუშაოები. როგორც ცნობილია, ეკლესიას მოანგრიეს დასავლეთ კეხზე აღმართული სამრეკლო, რის შემდეგაც დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტერიერში;
- **წუნარის** (ხეთაგუროვის) ღმრთისმშობლის ეკლესიის (მე–14 ს.) საკურთხეველი დაიფარა რუსული სტილის მოხატულობით. რელიეფური გამოსახულებებით შემკული ძველი, ქვის იკონოსტასი ვარდისფერი–თეთრი ფერით დაიფერა.
- ასეთივე ბედი გაიზიარა ცხივნალის **ზღუდერის** წმ. გიორგის ეკლესიამ (მე–17 ს.). იქაც ინტერიერი ერთიანად მოიხატა რუსული სტილის მხატვრობით, აიგო ბეტონის არატრადიციული ფორმის კანკელი და იატაკზე დაიგო მეტლახის ფილები.
- **ცხინვალში,** სომხის ქუჩაზე მდებარე წმ. გიორგის ეკლესია (გვიანი შუა საუკუნეები) მთლიანად შეილესა და შეიღება თეთრი და ღია მწვანე ფერით;

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო კულტურის სამინისტრო გეგმავს **იკორთას** მთავარანგელოზთა (1172 წ.) ეკლესიის, **თირის** მონასტრის (მე–13–მე–17 სს.), **გომართას** წმ. გიორგის ეკლესიის (მე–16 ს.) ცხინვალში, **კავთის** წმ. გიორგის (მე–10–მე–11 სს.), არმაზის წმ. გიორგის ეკლესიის (864 წ.), **ყანჩაეთის** კაბენის **ღმრთისმშობლის მონასტრის** (IX-XVIII სს.) აღდგენა–რეკონსტრუქციას.

**შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მონიტორინგი თითქმის, ვერ ხორციელდება და დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მდგომარეობა თუა ცნობილი. იქ არსებული ძეგლების უმეტესობის ბედი უცნობია. მით უფრო, არ არსებობს ინფორმაცია იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ; თუმცა ნათელია, რომ ყველა იქ დარჩენილი ისტორიული ძეგლი დღეს დაუცველია და საფრთხის ქვეშაა.**

# რელიგიური უმცირესობების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობა

## მუსლიმანური თემი

1. **მუსლიმანების რაოდენობა საქართველოში - 398 677,** მთლიანი მოსახლეობის 10 %-ზე მეტი ( 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები);

2. **ეთნიკური შემადგენლობა** - ქართველი, აზერბაიჯანელი, ქისტი, ჩეჩენი, ინგუში მუსლიმანები;

3. **ძირითადი რელიგიური განშტოებები** - შიიტები, სუნიტები;

4. **მუსლიმანი თემის საკულტო ნაგებობები საქართველოში - 300 -მდე მეჩეთი და სალოცავი სახლი;**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რეკომენდაციით, მუსლიმ თემს ბოლო ორ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, გადაეცა **150 მეჩეთი,** ეტაპობრივად მიმდინარეობს დანარჩენი მეჩეთების გადაცემის საკითხის განხილვა; მეჩეთების უმრავლესობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გააჩნია, მათ მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე სახელმწიფო ზრუნავს.

ამასთან ერთად, სახელმწიფომ შეისყიდა და 2015 წელს მუსლიმ თემს გადასცა ბათუმში ორი 4-სართულიანი შენობა სამუფტო რეზიდენციისა და მედრესესათვის (სასულიერო სასწავლებელი). სამუფტო რეზიდენცია მეორე წელია წარმატებით ფუნქციონირებს, მედრესე კი უახლოეს პერიოდში სააგენტოსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით გაიხსნება. ორივე შენობა საქართველოს ხელისუფლებამ დაახლოებით, **5 მლნ. ლარად** შეიძინა.

5. საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანამედროვე უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფოს მიერ 2014-2016 წლებში გაწეული ფინანსური დახმარება:

2014 წელი - 1 100 000 ლარი;

2015 წელი - 2 200  000 ლარი;

**2016 წელი - 2 750 000 ლარი;** სულ: **6  050  000 ლარი**

6. **მუსლიმანი თემის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან:**

- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო მონაწილეობს ინტერრელიგიური სათათბიროს მუშაობაში;
- სააგენტო ინტენსიურად მუშაობს აჭარის მთავრობასთან, სამცხე-ჯავახეთის გუბერნიასა და მუსლიმთა სამმართველოსთან ბათუმის მეჩეთისა და მოხეში, კლუბის სტატუსით რიცხული ნაგებობის საკითხთან დაკავშირებით;

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი რამაზან-ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად იფთარის ვახშამს მართავს მუსლიმანი სასულიერო პირებისათვის;
- ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე სტუმრობს მუსლიმანი თემით დასახლებულ რეგიონებს ან მეჩეთს და მონაწილეობს მათ დღესასწაულში;

## იუდეური თემი

1. **იუდეველების რაოდენობა საქართველოში - 1417** (2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები), არაოფიციალურად - **2500** -მდეა.
2. **ეთნიკური შემადგენლობა -** ძირითადად, ქართველი ებრაელები;
3. **იუდეური თემის საკულტო ნაგებობები საქართველოში** - **20** სინაგოგა, მათ შორის, საკუთრებაშია - 3 სინაგოგა, მუდმივ სარგებლობაშია - 12, მათ შორის სააგენტოს მიერ გადაცემულია - 10, გადასაცემი დარჩა - 5 სინაგოგა. ეს საკითხი ეტაპობრივად განიხილება სააგენტოს ქონებრივ - ფინანსურ კომისიაზე.
4. ყველა სინაგოგა რესტავრირებული და მოვლილია, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და დაცულია კანონით.
5. საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანამედროვე უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფოს მიერ 2014-2016 წლებში გაწეული ფინანსური დახმარება:

2014 წელი - 150 000 ლარი;

2015 წელი - 300 000 ლარი;

2016 წელი - 400 000 ლარი; სულ : **850 000 ლარი.**

**იუდეური თემის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან:**

- იუდეური თემი მონაწილეობს ინტერრელიგიური სათათბიროს მუშაობაში;
- სახელმწიფომ 2015 წელს საზეიმოდ აღნიშნა ონის სინაგოგის 120 წლისთავი, რომელსაც პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა და **2016** წელს სახელმწიფო დონეზე იზეიმა **ახალციხის სინაგოგის 275 წლისთავი,** ამ ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო რელიგიის სააგენტო;
- ხანუქას დღესასწაულში, ტრადიციულად, მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც. ისინი სინაგოგაში სიმბოლურად ანთებენ პირველ და მერვე სანთელს;
- დავით ბააზოვის სახელობის ქართულ-ებრაული მეგობრობის მუზეუმში სისტემატურად იმართება ერთობლივი ღონისძიებები, შეხვედრები, გამოფენები,

რომლებიც ორი ერის მეგობრობას ეძღვნება, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი პროექტები.

- 2016 წელს საქართველოს ეწვია ისრაელის პრეზიდენტი.

**სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის მიმდევრები**

1. **სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის მიმდევრები** - **109 000** (2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით).

2. **ეთნიკური შემადგენლობა -** საქართველოს სომეხი მოსახლეობა;

3. **სომხური თემის საკულტო ნაგებობები საქართველოში** - სომხური თემი დღეს საქართველოში ფლობს **50 ეკლესიას,** რომელთა უმეტესობა მოქმედია. ეკლესიების ძირითადი უმრავლესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, მათ სახელმწიფო უვლის, არემონტებს და იცავს.

შარშან თბილისში საზეიმოდ გაიხსნა რესტავრირებული **სურბ-გევორქის** საკათედრო ტაძარი, რომლის აღდგენითი სამუშაოების ნაწილი ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდა;

- **2016 წელს** დასრულდა თბილისში **ნორაშენის** ეკლესიის გამაგრებითი და სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც 1 მლნ. ლარამდე დაუჯდა სახელმწიფოს;
- წლებია მიმდინარეობს **მოღნისის** ეკლესიის გამაგრებითი სამუშაოები;
- სააგენტო, დანარჩენ ეკლესიებთან დაკავშირებით, ეტაპობრივად განიხილავს მიმდინარე საკითხებს და შესაბამისად, მათი გადაცემის პროცედურებს დადგენს.

4. საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანამედროვე უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფოს მიერ 2014-2016 წლებში გაწეული ფინანსური დახმარება:

2014 წელი - 300 000 ლარი;

2015 წელი - 600 000 ლარი;

2016 წელი - 800 000 ლარი; **სულ : 1 700 000 ლარი**

**5. სომხური ეკლესიის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან:**

- სომხური ეკლესია მონაწილეობს ინტერრელიგიური სათათბიროს მუშაობაში;
- სააგენტოს უშუალო მონაწილეობით, მომზადდა თბილისში, სურბ-გევორქის საკათედრო ტაძრის საზეიმოდ გახსნის ცერემონია, რომელსაც საქართველოს მთავრობის წევრები, სომხეთის პრეზიდენტი და პატრიარქიც ესწრებოდნენ;
- სომხური ეკლესია მონაწილეობს ყველა იმ ღონისძიებაში, რომლებიც სააგენტოსა და სახელმწიფოს ეგიდით იმართება;

# კათოლიკური თემი

1. **საქართველოს კათოლიკური თემის რაოდენობა** - **19 200, მოსახლეობის 0,5%** (2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით);

2. **ეთნიკური შემადგენლობა -** ქართველი კათოლიკები, სომეხი კათოლიკები;

3. **კათოლიკური თემის მოქმედი საკულტო ნაგებობები საქართველოში** : ტაძარი -11, მონასტერი - 6 , სამლოცველო სახლი - 19.

კათოლიკები საქართველოში როგორც საკუთრების, ასევე სარგებლობის უფლებით ფლობენ ეკლესიებს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გორში, გარდაბანში, ლაგოდეხში, ოზურგეთში, ხონში, ვალეში და სხვ. აქვთ როგორც ტაძრები, ასევე მონასტრები და სამლოცველოები, აგრეთვე, საქველმოქმედო ორგანიზაციები.

4. საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის თანამედროვე უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სახელმწიფოს მიერ 2014-2016 წლებში გაწეული ფინანსური დახმარება:

2014 წელი - 200 000 ლარი;

2015 წელი - 400 000 ლარი;

2016 წელი - 550 000 ლარი; სულ : **1 150 000 ლარი**

5. **კათოლიკური თემის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან:**

- კათოლიკური თემი მონაწილეობს ინტერრელიგიური სათათბიროს მუშაობაში;
- 2016 წელს, საქართველოს სტუმრობდა რომის პაპი, მისი მიღების ორგანიზებაში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს მთავრობა და რელიგიის სააგენტო; გაიმართა მიღება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს საპატრიარქოში და აგრეთვე, გაიმართა საჯარო მესა.
- სახელმწიფოსა და სააგენტოს ხელმძღვანელები, ტრადიციულად, მონაწილეობენ კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულებში.

## საქართველოს ევანგელურ – პროტესტანტული ეკლესია

საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას:

რელიგიური მსახურების აღსასრულებლად წლების განმავლობაში არ გააჩნდა სალოცავი სახლი, რითაც იზღუდებოდა მისი რწმენის გამოხატვის თავისუფლება.

1. 2015 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დახმარებით, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას სალოცავი სახლისათვის პირველად გადაეცა შენობა-ნაგებობა გორში.
2. **2016 წელს,** სააგენტომ გასცა რუსთავში ახალი სალოცავი სახლის მშენებლობის რეკომენდაცია;
3. **2016 წელს,** სააგენტოს რეკომენდაციით, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას რუსთავში დამატებითი გადაეცა მიწის ნაკვეთი (150 კვ.მ.) მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ეკლესიის გასაფართოებლად;
4. **2016 წელს,** სააგენტოს რეკომენდაციით, გორში ეკლესიას დამატებით გადაეცა მიწის ნაკვეთი ( 431 კვ. მ.) სოციალური და საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

## ეზიდური თემი

1. **საქართველოს ეზიდური თემის რაოდენობა - 9 000** (2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით);
2. **ეთნიკური შემადგენლობა -** ეზიდები;
3. **ეზიდური თემის მოქმედი საკულტო ნაგებობა საქართველოში** :

პირველად, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეზიდებს საქართველოში შეუძლიათ თავიანთი რელიგიური და კულტურული საქმიანობის აღსრულება.

სახელმწიფოს უშუალო დახმარებით თბილისში ეზიდურ თემს გადაეცა მიწის ნაკვეთი სალოცავის მშენებლობისათვის.

2015 წლის 16 ივნისს, თბილისში გაიხსნა ეზიდური სალოცავი სახლი და კულტურის ცენტრი, ამ საზეიმო ცერემონიას, რელიგიის სააგენტოს ხელშეწყობით, ესწრებოდნენ მსოფლიო ეზიდთა ლიდერი, უფლისწული მირ ჰაზიმ თაჰსინ ბეგი, ეზიდთა უმაღლესი სასულიერო კრების წევრები, ერაყის ქურთისტანის პარლამენტისა და მთავრობის წევრები.

**2016 წელს,** სააგენტომ გასცა რეკომენდაცია ეზიდთა სალოცავი სახლისა და კულტურის სახლის მშენებლობის დასასრულებლად საჭირო საკითხების მოგვარების შესახებ.

4. **ეზიდური თემის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან**

ეზიდი თემის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ სააგენტოსთან და სახელმწიფოსთან. ჩართულნი არიან ინტერრელიგიური სათათბიროს მუშაობაში, ქვეყნის რელიგიური პოლიტიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე , ყველა იმ ღონისძიებაში, რომელიც რელიგიური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით იმართება საქართველოში.

სახელმწიფოც, შესაბამისად, მონაწილეობს ეზიდური თემის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში; რელიგიური საქმიანობის თავისუფლად განხორციელებისათვის ხელს უწყობს მათ სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში.

## საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მიმდევარი დღეს საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ასეული ადამიანია, რომლებიც, ძირითადად, თბილისში სახლობენ, მცირე რაოდენობით არიან ბოლნისსა და დმანისშიც. ისინი საქართველოში 1817 წელს გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების მემკვიდრეები არიან.

ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას საქართველოში რამდენიმე სალოცავი აქვს: თბილისში, ბოლნისსა და დმანისში. თბილისის გერმანული ეკლესია აშენებულია XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში გერმანიის კანცლერის, ხანს-დიტრიხ გენშერის ვიზიტის დროს, მისი და საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. ეკლესიას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი გააჩნია, თუმცა, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის კუთვნილებას არ წარმოადგენს.

საქართველოს სახელმწიფო, 2017 წელს, საზეიმოდ აღნიშნავს საქართველოში გერმანელთა დამკვიდრების 200 წლისთავს, ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის მომზადების შემდეგ, ქალაქის ცენტრში მდებარე თბილისის ევანგელურ-ლუთერული ეკლესია მიწის ნაკვეთითურთ გადაეცეს ლუთერულ თემს. ასევე, სახელმწიფო გამოთქვამს მზადყოფნას და სააგენტო განიხილავს ოთხ ძირითად კონფესიასთან (კათოლიკები, სომხური ეკლესიის მიმდევრები, იუდეველები, მუსლიმანები) ერთად, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის შესაძლო დაფინანსების საკითხსაც.

## თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია

2016 წელს, თბილისში ოფიციალურად გაიხსნა თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური სალოცავი სახლი. მისი დამაარსებელია ამერიკის მოქალაქე ჩარლზ ჰობლიცი. მრევლი: უცხოეთის ინგლისურენოვანი მოქალაქეები. 2016 წელს რელიგიის სააგენტოს რეკომენდაციით, მოხდა სალოცავი სახლის მშენებლობის ნებართვის მიღება და შემდგომში მისი გახსნა; 2016 წელსვე, სააგენტოს დახმარებით, ეკლესიამ მიიღო თბილისის მერიის ნებართვა სალოცავის გაფართოების შესახებ;

თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია აქტიურად თანამშრომლობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან რელიგიის სფეროს მიკუთვნებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

## ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის

### 11.1.1.1. საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხებზე

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებითა და კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით 2015-2016 წლებში განხორციელდა პროექტი: **„რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი“,** რომელიც ითვალისწინებდა სამუშაო შეხვედრების გამართვას, სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მერია, გამგეობა, საკრებულო), სამხარეო ადმინისტრაციებისა (გუბერნიების) და აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თანამშრომელთა მონაწილეობით. სამუშაო შეხვედრები მოიცავდა სასემინარო და სადისკუსიო ფორმატს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ტოლერანტობის კონცეფციისა და სეკულარიზმის კონცეფციის ირგვლივ.

პროექტში, საქართველოს მასშტაბით, მონაწილეობა მიიღო ორასზე მეტმა საჯარო მოხელემ, მთელი ადგილობრივი, სამხარეო და აჭარის ა/რ-ს ორგანოდან.

სამუშაო შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და გამოცდილების მიხედვით მომზადდა და გამოიცა პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის: **სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში**, რომელიც გავრცელდება 2017 წელს.

2017 წლიდან, ასევე, იგეგმება პროექტის გაფართოვება და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სხვა საჯარო სტრუქტურების თანამშრომლებთან.

### 11.1.2.1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

2015, 2016 და 2017 წლებში, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ გამოსცა **ინტერრელიგიური კალენდარი.** აღნიშნული პროექტი გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. პროექტის მიზანია განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის ამაღლება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ კალენდარი ვრცელდება, არა მხოლოდ, რელიგიურ თემებში, არამედ, პრაქტიკულად, ყველა საჯარო უწყებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართულებით.

2017 წლის კალენდარი აერთიანებს თერთმეტი რელიგიური თემის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე,

მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, იეზიდი, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელური-ბაპტისტური, ევანგელურ-პროტესტანტული თემებისა და სახარების რწმენის ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულებს.

2017 წელს, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლობით, მომზადდა **საქართველოს რელიგიური რუკები,** რომელიც ეფუძნება 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს და წარმოაჩენს საქართველოს საერთო რელიგიურ მრავალფეროვნებას და მის რეგიონალურ განფენილობას. რუკები გავრცელდება როგორც ელექტრონული, ასევე, ბეჭდური სახით და ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელწმიფო სააგენტო მუშაობს ახალ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს სათანადო ბეჭდური და ვიდეო მასალის მომზადებას და გავრცელებას, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პრინციპები, სეკულარიზმისა და შემწყნარებლობის კონცეფციები და ა.შ. მოცემული პროექტი ითვალისწინებს მომზადებული მასალის გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბეჭდური და ვიდეო მასალის პრეზენტაციისას განსაკუთრებული ყურადღება რეგიონებსა და ახალგაზრდებზე გამახვილდება.

### 11.1.2.4. საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტის ინიცირება, რომლის შესაბამისად იქნება გაწერილი ცალკეული უწყებების ეთიკის კოდექსებში

მიმდინარე ეტაპზე, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო სწავლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების გამოცდილებას, საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტების შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციასთან, ასევე, ამ სტანდარტების შესაბამის დოკუმენტებში ასახვის ფორმებთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან.

სააგენტოს მიერ მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის - **სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში**, როგორც მსგავსი სტანდარტების დანერგვის პირველი მცდელობა, მყარ ბაზას ქმნის ამ მიმართულებით.

### 11.1.2.5. რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე რეაგირების მონიტორინგი, შესაბამისი კანონმდებლობის გადახედვა, და დახვეწა

მოცემული ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები პასუხისმგებელ უწყებებთან, რათა განისაზღვროს ის საქმეები, რომელთაც აქვთ პრეცედენტული ხასიათი. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, რელიგიური ჯგუფების და უფლებადაცვით ორგანიზაციებისა და სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტების ჩართულობით მოხდება მათი დამუშავება და ძირითადი პრობლემური მიმართულებების გამოყოფა, კერძოდ: ინციდენტის წარმოშობის მიზეზები და მათთან მიმართებით სახელმწიფოს (შესაბამისი უწყებების) მიერ გაწეული

პრევენციული ღონისძიებები; ინციდენტის პერიოდში სახელმწიფოს (შესაბამისი უწყებების) მიერ განხორციელებული ღონისძიებები, როგორც რეაგირების მექანიზმი; ინციდენტის გამოძიების პროცესი და შედეგები, სამართალდამცავთა დევნის ჩათვლით და ა.შ.

შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე რეაგირების ეფექტური სტრატეგია, რომელიც მოიცავს დანაშაულების სრულფასოვან მონიტორინგისა და მექანიზმები გაძლიერების ღონისძიებებს.

გრძელვადიანი შედეგის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, საჭიროა, რომ სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტების ჩართულობით, არსობრივად იქნას გაანალიზებული რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე რეაგირების უზრუნველმყოფი მოქმედი კანონმდებლობა და მისი აღსრულების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა და მისი აღსრულების გაძლიერება.

შესასრულებელი სამუშაოების ძირითადი ნაწილი განხორციელდება 2017 წელს.

**11.1.2.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადება რელიგიური შეუწყნარებლობის, ძალადობის და რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად**

მოცემული ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები პასუხისმგებელ უწყებებთან, რათა, განისაზღვროს ის საქმეები, რომელთაც აქვთ პრეცედენტული ხასიათი. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, რელიგიური ჯგუფებისა და უფლებადაცვით ორგანიზაციებისა და სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტების ჩართულობით მოხდება მათი დამუშავება და ძირითადი პრობლემური მიმართულებების გამოყოფა, კერძოდ: ინციდენტის წარმოშობის მიზეზები და მათთან მიმართებით სახელმწიფოს (შესაბამისი უწყებების) მიერ გაწეული პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები, ასევე, ინციდენტის გამოძიების პროცესი და შედეგები, სამართალდამცავთა დევნის ჩათვლით; ინციდენტებთან დაკავშირებით სამართალდამცავთა ქმედებები, მათი სიტყვიერი განცხადებებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ დამოკიდებულების ჩათვლით და ა.შ.

შედეგების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება რელიგიური შეუწყნარებლობის, ძალადობის და რელიგიის ან რწმენის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების კუთხით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურის შესაბამისი თანამშრომლების გადამზადების ეფექტური პროგრამა ყველა ინსტიტუციური სპეციფიკის გათვალისწინებით.

შესასრულებელი სამუშაოების ძირითადი ნაწილი განხორციელდება 2017 წელს.

**11.1.3.1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული ინდივიდუალური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის მიზნით სათანადო კანონმდებლობის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მთავრობისთვის რეკომენდაციების წარდგენა**

### 11.1.3.2. რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით სათანადო კანონმდებლობის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში მთავრობისთვის რეკომენდაციების წარდგენა

მოცემული ვალდებულებების შესრულების მიზნით სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შესწავლილი და გაანალიზებულ იქნა მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა, რის საფუძველზეც გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს საკანონმდებლო დახვეწასა და უზრუნველყოფის გაძლიერებას, ესენია: რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი მდგომარეობის დაცვა (საკუთრების უფლების ჩათვლით), რელიგიური გაერთიანებების უფლებრივი გათანაბრება საგადასახადო შეღავათების მხრივ და საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის რეგულაციები (საჯარო სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ საკულტო ნაგებობების მშენებლობის ჩათვლით).

### 11.1.3.3. უთანასწორო საგადასახადო რეჟიმის აღმოიფხვრა, რომლის მიხედვითაც სხვა რელიგიური გაერთიანებები მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებული წესით იბეგრება

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მოამზადა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, რელიგიური საქმიანობის საერთო, არაკომერციული ხასიათის გათვალისწინებით, სამართლებრივ სახელმწიფოში თანაბარი სამართლებრივი ფორმების მქონე კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებების მიერ თანაბარი საგადასახადო პირობებით სარგებლობის მიზნით, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების გზით რელიგიური გაერთიანებების გათანაბრება საგადასახადო შეღავათების კუთხით.

მოცემულ ეტაპზე, მიმდინარეობს აღნიშნული ინიციატივის განხილვა სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან.

### 11.1.3.4. საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების ისტორიული (კონფესიური) მესაკუთრის განსაზღვრა და შენობა-ნაგებობის გადაცემა. საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების საკუთრებასთან არსებული დავების სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გადაწყვეტა

მოცემული ვალდებულების ფარგლებში სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს ინდივიდუალური საქმეების შესწავლას კომისიური წესით (რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და ფინანსური საჭიროებების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის ფარგლებში), რის შემდეგაც ამზადებს სათანადო რეკომენდაციას უფლებამოსილი უწყების მიმართ. მოცემულ რეჟიმში 2014 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით ორასამდე საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა გადაეცათ მათ ისტორიულ (კონფესიურ) მესაკუთრეებს. პროცესი გრძელდება შეუფერხებლად.

საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების საკუთრებასთან არსებული დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყველა საჭირო შემთხვევაში ახორციელებს საკუთარ ვალდებულებას, რაც დაპირისპირებულ მხარეთა შორის მედიაციაში გამოიხატება (მაგალითად, სოფელ

მოხეში მდებარე შენობის ირგვლივ არსებული დავა). სხვა მხრივ, ყოველი კონკრეტული საქმე საჭიროებს მრავალმხრივ შესწავლას, რაც მოითხოვს სათანადო ვადებს.

ამდენად, მოცემული ვალდებულება, წარმოადგენს ხანგრძლივ განგრძობით პროცესს და საანგარიშო პერიოდში კონკრეტული შედეგების (სიახლის) არსებობა არ არის პირდაპირპროპორციული ვალდებულების სათანადო შესრულებასთან.

# სახელმძღვანელო – სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში

პროექტი - „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტე-ტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სახელმძღვა-ნელო - **სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში,** სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2015-2016 წლებში განახორციელა. პროექტი უკავშირდებოდა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის)“ მიზნებს, კერძოდ, „საჯარო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცებასა“ და „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებას რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“.

პროექტი ითვალისწინებდა სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას სამხარეო ადმინისტრაციების (გუბერნიების), ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიის, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, მთელი საქართველოს მასშტაბით, სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით. სასემინარო და სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში გამართული სამუშაო შეხვედრები - რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი, დაეთმო ისეთ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, შემწყნარებლობა და სეკულარიზმი, და ამ მხრივ სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა და თითოეული საჯარო მოხელის პირადი პასუხისმგებლობა. პროექტის ფარგლებში სასემინარო და სადისკუსიო მუშაობას, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, უძღვებო-დნენ მოწვეული ექსპერტები, რომლებიც ამავდროულად წინამდებარე სახელმძღვა-ნელოს ავტორები არიან.

პროექტში მონაწილეობა მიიღო სულ ორასზე მეტმა საჯარო მოხელემ მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა შესაბამისი ადგილობრივი, სამხარეო და აჭარის ა/რ-ს ორგანოდან.

სახელმძღვანელოს მიზანია, სახელმწიფოს ერთიანი რელიგიური პოლიტიკის ფარგლებში, სეკულარული მმართველობისა და საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექსტი სტრუქტურულად დაყოფილია ცალკეულ თავებად, რაც თითოეული კონცეფციის ამომწურავად წარმოდგენისა და აღქმის შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად ამისა, მკაფიო ზღვარის გავლება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, სეკულარიზმის, რელიგიური ნეიტრალიტეტის,

მრავალფეროვნების, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის კონცეფციებს შორის, შეუძლებელია, რადგან ისინი ერთმანეთიდან გამომდინარეობენ და ერთმანეთს განაპირობებენ. სახელმძღვანელოს აქვს სპეციალური დანართი, რომელიც მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს, რაც ხელს უწყობს ამ უფლებრივი სიკეთის სამართლებრივი კონცეფციის ერთიან აღქმას და პრაქტიკაში გამოყენებას.

ეს არის საჯარო სამსახურში სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების შესახებ საჯარო მოხელეთათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნის პირველი მცდელობა. შესაბამისად, აუცილებელია თითოეული საჯარო მოხელე სრულყოფილად აცნობიერებდეს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ძირითად ასპექტებს, რომელიც წინამდებარე ტექსტშია გადმოცემული, რათა მათი საკუთარი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად ქცევა შეძლოს.

## სერია – რელიგია და სამართალი

### წიგნი III

**„რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“.**

პუბლიკაციათა სერია - „რელიგია და სამართალი“-ს ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის და ემსახურება ცნობიერების ამაღლებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიმართულებით, გამოიცა წიგნი III – „რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“. გამოცემაში შესულია რელიგიის თავისუფლების სფეროში მოქმედი 11 ქვეყნის კანონი. ესენია:

1. რუმინეთის კანონი რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური დენომინაციების ზოგადი სტატუსის შესახებ (2007);
2. ბულგარეთის რესპუბლიკის კანონი რელიგიური დენომინაციების შესახებ;
3. ავსტრიის ფედერალური კანონი ისლამის შესახებ (2015);
4. ლატვიის რესპუბლიკის კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ (1995);
5. ლიტვის რესპუბლიკის კანონი რელიგიური თემებისა და გაერთიანებების შესახებ (1995);
6. ესტონეთის კანონი ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ (2002);
7. მოლდოვას რესპუბლიკის კანონი სინდისის, აზრისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ (2007);

8. სომხეთის რესპუბლიკის კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ (1991);

9. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ (1992);

10. რუსეთის ფედერალური კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ (1997);

11. ბელორუსიის რესპუბლიკის კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ (2002).

სხვადასხვა ქვეყნის რელიგიის პოლიტიკის გაცნობა საინტერესო და მნიშვნელოვანია მრავალრელიგიური და მრავალეთნიკური საქართველოსთვის, მით უფრო, რომ სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტების კვლევა მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იწყება.

გამოცემა ემსახურება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებისადმი რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და რელიგიის სფეროში საქართველოს თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

## რელიგიური რუკა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, პირველად საქართველოს ისტორიაში, გამოვიდა რელიგიური რუკის მომზადების ინიციატივით. სააგენტოს მიაჩნია, რომ რელიგიური ფაქტორების მართებული გააზრება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ამ სფეროში თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ხელს შეუწყობს იმ ამოსავალი პრინციპების განხორციელებას, რომლებმაც უნდა განამტკიცონ დემოკრატიული და გამჭვირვალე გარემოს ჩამოყალიბება რელიგიის სფეროში.

სააგენტოსთან შექმნილმა რელიგიის პოლიტიკის კვლევის ცენტრმა 2016 წელს შეიმუშავა რეგიონული, რაიონული და საკულტო ნაგებობათა რუკის მომზადების კონცეფცია, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ უწყებასა თუ რელიგიურ ორგანიზაციას საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის გათვალისწინებით დაგეგმოს და წარმართოს თავისი საქმიანობა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ ადგილებზე - რეგიონებსა და რაიონებში, ერთობლივი სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად შეჯერებულ მონაცემებზე დაყრდნობით მოამზადა რელიგიური რუკის ორი ვარიანტი, რეგიონული და რაიონული, რომლებშიც წარმოდგენილია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები.

რუკების მომზადება და გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის ყველაზე რეალურ სურათს იძლევა რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების/

რაიონების შესახებ. დღემდე რელიგიური ორგანიზაციებისაგან მიღებული მონაცემები, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა ქვეყანაში რეალურად არსებულ მდგომარეობას.

სააგენტომ 2016 წელსვე დაიწყო საკულტო ნაგებობების რუკისა და მისი ინტერნეტვერსიის მომზადება.

რელიგიური რუკების საჯარო წარდგენას სააგენტო მიმდინარე წლის მარტში გეგმავს.

## კონფერენცია – ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის

2016 წელი რთული, გამოწვევებისა და გლობალური საფრთხეების შემცველი წელი იყო მთელი მსოფლიოსათვის. ევროპასა თუ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული დრამატული მოვლენები, რელიგიის სახელით დათესილი სიძულვილი, ბოროტება და ნგრევა, ათასობით უდანაშაულო მსხვერპლი, კვლავ და კვლავ გვაფიქრებს შემწყნარებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების მარადიულ ფასეულობებზე, მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობაზე, განსაკუთრებით ისეთ მარავალეთნიკურ და მრავალრელიგიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

მსოფლიოში განვითარებული დამაფიქრებელი ტენდენციების გაძლიერება ავალდებულებს თითოეულ სახელმწიფოს მთელი თავისი ძალისხმევა მიმართოს ყოველგვარი ჩაგვრის, დისკრიმინაციისა და თავისუფლების ხელყოფის ნებისმიერი გამოვლინების აღმოსაფხვრელად; მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დასაცავად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამგვარმა ვითარებამ განაპირობა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივა კონფერენციის - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, მოწვევის შესახებ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ ქვეყნის შიდა სტაბილურობისა და რეგიონული ურთიერთობებისათვის რელიგიის სამშვიდობო პოტენციალის გამოყენება პრობლემათა დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ზემოთ აღნიშნული კონფერენციაც, რომელზეც სახელმწიფოს, რელიგიური ორგანიზაციების, მეცნიერებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ღია და კონსტრუქციული მსჯელობა გამართეს ადამიანის უფლებათა დაცვის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობისა და მნიშვნელობის, ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე, აგრეთვე , ეკლესიის როლზე მსოფლიო მშვიდობის დამყარებაში, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობაზე, რელიგიისა და პოლიტიკის, კონფლიქტებისა და სტრეოტიპების ურთიერთმიმართებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. კონფერენციაზე აღინიშნა ქვეყნის ხელისუფლების მზაყოფნა, კვლავაც გააგრძელოს ურთიერთპატივისცემაზე, ზრუნვასა და ტრადიციულ, ტოლერანტულ ღირებულებებზე დაფუძნებული რელიგიის სახელმწიფო პოლიტიკა, დაიცვას და ხელი შეუწყოს თითოეული კონფესიის საქმიანობას.

საფრანგეთისა და თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა საქართველოში პასკალ მონიემ და ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „ინტერრელიგიური დიალოგის წახალისება არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც პირდაპირი პასუხი რადიკალიზმზე, არამედ უფრო როგორც შესაძლებლობა, შევავსოთ ნაპრალი ჩვენს ქვეყნებში არსებულ თემებს შორის. ამ მიმართულებით ერთობლივი მოძრაობა წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში“.

კონფერენციამ მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მარადიულ ფასეულობებს:

# დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

## ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის

ჩვენ, კონფერენციის - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ - მონაწილენი, ვაცხადებთ, რომ:

საქართველო არის მრავალეროვანი, მრავალკონფესიური სახელმწიფო და მის განვითარებაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ რელიგიების წარმომადგენლებმა.

ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ ათწლეულში რელიგიურ ნიადაგზე მსოფლიოში მიმდინარე დაპირისპირებებს და ვაცნობიერებთ ინტერრელიგიური ურთიერთობის მნიშვნელობას მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გვწამს, რომ ინტერრელიგიური დიალოგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა ურთიერთცნობადობის ამაღლებისა და ურთიერთპატივისცემის გასაღრმავებლად, მით უმეტეს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში მუდამ არსებობდა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ტოლერანტობა სხვადასხვა კულტურათა და რელიგიათა წარმომადგენლებს შორის.

მივიჩნევთ რა, რომ აუცილებელია რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება და რელიგიის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გათვალისწინებით ქვეყანაში სტაბილურობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა,

ვთანხმდებით შემდეგზე:

- რწმენა არ არის ძალადობის, რელიგიურ ნიადაგზე ომისა და კონფლიქტის წამახალისებელი;
- ინტერრელიგიური დიალოგი არის განსხვავებული რწმენის ადამიანთა ურთიერთობის ჰუმანური ფორმა;
- ინტერრელიგიური დიალოგისას წარმოშობილი შესაძლო სირთულეები არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი, იგი უნდა დაიძლიოს ურთიერთგაგებით, სამართლიანობისა და სარწმუნოებრივ-მორალური პრინციპების

გათვალისწინებით;

- ინტერრელიგიური დიალოგი ხელს უწყობს რა კულტურათა კვლევასა და რელიგიური ცნობიერების ამაღლებას, ასუსტებს ნეგატიურ განწყობებსა და ქმნის მშვიდობიან გარემოს;
- ინტერრელიგიური დიალოგი თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვასა და ღვთის ცნებებზე დაფუძნებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დანერგვას;
- ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები იღვწიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, ამასთან, თანაუგრძნობენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ყველა ხალხს, რომლებიც მოკლებული არიან მშვიდობას, სამართლიანობასა და სოციალურ სიკეთეებს;
- ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეების მოღვაწეობა არის შემოქმედებითი და საქმიანი და ხელს უწყობს რელიგიათა შორის თანამშრომლობას და მაღალზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სიწმინდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, სნეულთა და საპყრობილეში მყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ნარკომანიის, ლოთობის, ძალადობისა და სხვა მავნე გამოვლინებების აღმოფხვრაზე;
- რელიგიური ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ რელიგიური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას კავკასიის რეგიონში და ამით ხელი შეუწყონ მრავალფეროვანი მსოფლიოს შენარჩუნებას.

ხელმომწერი მხარეები ვაცხადებთ მზადყოფნას, ერთად ვიზრუნოთ ინტერრელიგიური დიალოგის გზით მშვიდობის მხარდასაჭერად და ზემოაღნიშნულ მიზანთა განსახორციელებლად:

1. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
2. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
3. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო
4. ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია
5. სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია
6. საქართველოს ებრაელთა კავშირი
7. იეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში
8. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია
9. საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია
10. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
11. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია

**25 ივლისი, 2016 წელი**

# მოხეს კომისია

## ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხვულ შენობასთან დაკავშირებით არსებულ გარემოებების შემსწავლელი კომისია

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ორგანიზებული ინტერრელიგიური დიალოგის მნიშვნელოვან გამოცდილებას ქმნის „ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხვულ შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელი კომისიის" საქმიანობა.

კომისია შეიქმნა 2014 წელის დეკემბერში მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და მისი მიზანია შეისწავლოს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ძირითადი-განუსხვისებელი ქონების სახით, კლუბის სტატუსით, რიცხვულ შენობასთან დაკავშირებული გარემოებები და სადაო საკითხები და საჭიროებიდან გამომდინარე მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაცია (დებულება, მუხ. 1). *კომისიის* შექმნისას სააგენტომ იხელმძღვანელა საკუთარი დებულებით, რომლის თანახმადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო საქართველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილია შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის (დებულება, მუხ. 2. „კ").

*კომისია* დაკომპლექტებულია დავის მონაწილე ორივე მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებით, მათ შორის, საქართველოს მუსლიმი თემი წარმოდგენილია ოთხი, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელი თემი სამი წარმომადგენლით. მნიშვნელოვანია, რომ *კომისიის* საქმიანობაში ჩართულია სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის-გუბერნიის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი. კომისიაში აგრეთვე ჩართულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (2 წევრით), ხოლო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წარმოდგენილია ერთი წევრით, სულ კომისია შედგება 12 წევრისაგან. ინტერრელიგიური დიალოგის ამ ფორმატში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა მიზნად ისახავს მათ სრულფასოვან ინფორმირებას დავასთან დაკავშირებული პოზიციების შესახებ, რათა რელიგიური თემების მიერ ინტერრელიგიური დიალოგის ფორმატში მიღწეული შეთანხმება აღსრულებისას არ დაექვემდებაროს პოლიტიკურ ინტერპრეტაციებს.

2016 წელს მხარეთა შორის შედგა ორი ოფიციალური სამუშაო შეხვედრა (*კომისიის სხდომა),* ქალაქ ახალციხეში, და არაერთი არაოფიციალური სამუშაო შეხვედრა, როგორც მუსლიმებთან, ასევე მართლმადიდებლებთან. შედეგად, შენარჩუნებულია წინა წლებში მიღწეული მშვიდობიანი თანაცხოვრება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, მუსლიმი და მართლმადიდებელი მრევლის დონეზე, ასევე დიალოგის რეჟიმი რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, ეპისკოპოსისა და მუფტის დონეზე.

2016 წლის 3 ნოემბერს, სოფელ მოხეში არსებული მდგომარეობის კიდევ ერთხელ გაანალიზების ფონზე, სადაც მუსლიმთა მცირე ჯგუფი სადავო შენობის გარეთ ასრულებდა ღვთისმსახურების რიტუალს, კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ მათ შესთავაზონ სოფელში ლოცვის პრობლემის მოგვარების ორი გზა:

1. სახელმწიფომ გამოისყიდოს და შემდეგ მუსლიმთა სამმართველოს გადასცეს ის შენობა, სადაც აქამდე მოწყობილი იყო სალოცავი სახლი;

2. მოხდეს სხვა ადგილის შერჩევა სოფელ მოხეს ცენტრში, რომელიც გადაეცემა მუსლიმთა სამმართველოს მასზე ახალი მეჩეთის მშენებლობის მიზნით.

ამასთანავე,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს ეთხოვოს: წარმოადგინოს კომისიის მომავალ სხდომაზე წინადადებები ე.წ. სადავო შენობის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და სავარაუდო სტატუსის შესახებ.

ამჟამად, 2016 წლის 1 დეკემბრის კომისიის სხდომის შედეგების მიხედვით, პრობლემის მოგვარების პირველი ეტაპისთვის მიღწეულია შეთანხმება:

1. მუსლიმი თემისათვის შეთავაზებული იქნა რამდენიმე ადგილი სოფელი მოხეს ცენტრში ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის, რითაც მოიხსნება ლოცვის პრობლემა, ვინაიდან მუსლიმმა თემმა უარი განაცხადა ძველი სალოცავი სახლის გამოსყიდვაზე სახელმწიფოს მხრიდან და შემდგომ მუსლიმთა სამმართველოსათვის გადაცემაზე.

2. ახალი მეჩეთისათვის ადგილის შერჩევისა და მუსლიმთა სამმართველოსათვის გადაცემის შემდეგ ე.წ. „მოხეს შენობას“ მიენიჭება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი სავარაუდო სახელწოდებით - „სადავო საკულტო ნაგებობა“.

3. შესაბამისი პროცედურების დაცვით, შენობა ამოირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსიდან და გადავა კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე.

4. ძეგლთა დაცვის სააგენტო მოამზადებს და კომისიას წარუდგენს „სადავო საკულტო ნაგებობის“, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამომავლო მოვლა-შენახვის პროექტს და შეუთანხმებს კომისიას.

# საერთაშორისო ურთიერთობები

ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; მეზობელ და რეგიონულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების განმტკიცება; საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობა და პარტნიორობა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ამ პრიორიტეტებს ეფუძნება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საერთაშორისო საქმიანობაც.

ამასთან ერთად, სააგენტოს მნიშვნელოვან სახელმძღვანელო პრინციპად კვლავ რჩება რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ( გაეროს, ეუთოს, ვენეციის კომისიის, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) გადაწყვეტილებები და რეზოლუციები.

2016 წელს სააგენტომ გააგრძელა რელიგიის სფეროში მეზობელი სახელმწიფოებისა და თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, თანამშრომლობა და რელიგიის სფეროს მიკუთვნებულ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი პროექტების დაგეგმვა - განხორციელება.

ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში სააგენტოს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა **ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო საქართველოში მასპინძლობდა რუმინეთისა და ირანის დელეგაციებს, აგრეთვე, სტუმრებს სხვადასხვა ქვეყნიდან.**

ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შეხვედრები გაიმართა სახელმწიფო დეპარტამენტის რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ოფისთან, დევიდ საპერშტაინთან, რელიგიისა და გლობალურ საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურ წარმომადგენელთან შონ ქეისთან, უსაფრთხოების დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების ოფიცერთან ისან ზაფართან, რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებში იუსტიციის დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებების განყოფილების სპეციალურ მრჩეველთან - ერიკ ტრინთან, *ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის რელიგიის, მშვიდობისა და გლობალურ საკითხთა ბერკლის ცენტრის* წარმომადგენლებთან.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის, რელიგიის, მშვიდობისა და გლობალურ საკითხთა ბერკლის ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პროგრამების დირექტორმა მელოდი ფოქს აჰმედმა სტუმრებს მოკლედ გააცნო ცენტრის მოსაზრებები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემუშავებულ სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დოკუმენტი ეფექტური და მრავალმხრივია.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებში სამოქალაქო უფლებების განყოფილების სპეციალურ მრჩეველ ერიკ ტრინთან სააგენტოს წარმომადგენლებმა განიხილეს აშშ-ში რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის დაძლევის ინსტიტუციური პოლიტიკისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების, დისკრიმინაციის მსხვერპლთა ადვოკატირების პრაქტიკის საკითხები. საქართველოში მოქმედი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და სააგენტოს საქმიანობის გაცნობის შემდგომ გამოითქვა ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობებს შესწავლის სურვილი.

დელეგაციის წევრებმა სააგენტოსთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები მიმოიხილეს რელიგიისა და გლობალურ საკითხებში სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურ წარმომადგენელთან - შონ ქეისთან. აღნიშნული უწყება ორი წლის წინ, პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილებით შეიქმნა, რაც საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში რელიგიის ასპექტის მკვეთრ ზრდას უკავშირდება. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ბატონ ქეისს საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობა, რეგიონის გამოწვევები და ამ მხრივ არსებული სახელმწიფო პოლიტიკა გააცნო.

რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო საკითხებში საგანგებო დავალებათა ელჩს - დევიდ საპერშტეინსა და მისი ოფისის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ისაუბრეს რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო მდგომარეობის ყოველწლიური ანგარიშის მნიშვნელობისა და მისი მომზადების პრაქტიკის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა საქართველოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის სათანადო შესწავლისა და ამ მიმართულებით ობიექტური და მრავალმხრივი ინფორმაციული უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალში მჭიდროდ ითანამშრომლებენ ინფორმაციის გაცვლისა და ანალიზის მიმართულებით.

აშშ-ის უსაფრთხოების დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების ოფიცერთან ისან ზაფართან შეხვედრაზე აშშ-სა და საქართველოს სახელმწიფო უწყებებში სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის, ასევე, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის უზრუნველყოფის გამოცდილების შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარების გარდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ აშშ საქართველოს მიაწვდის აღნიშნულ საკითხებზე საჯარო სამსახურში განხორციელებული პროგრამების კურიკულუმებსა და მასალებს, ასევე, დაეხმარება ადაპტირებული ქართული პროგრამის შექმნაში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების საქმიანობასაც გაეცნო. კერძოდ, შეხვდა: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსს საბა ინწკირველსა და ნიუ-იორკის ქართულ სამრევლოს. ამერიკის ქართველ ებრაელთა ორგანიზაციას, მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესიასა და იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციას.

**საქართველოში განხორციელებული ვიზიტებიდან აღსანიშნავია:**

**რუმინეთის დელეგაციის ვიზიტი, რუმინეთის რელიგიისა და კულტების მინისტრის ვიქტორ ოპასკის ხელმძღვანელობით.**

ვიქტორ ოპასკი საქართველოში 2016 წლის ივნისში, რელიგიის სააგენტოს მოწვევით იმყოფებოდა. რუმინეთის რელიგიისა და კულტების სამინისტრო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუციაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს, რუმინეთის სახელმწიფო სტრუქტურაში და არსებობის 150 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. აღნიშნული უწყება განკარგავს ფინანსურ რესურსს რელიგიური ორგანიზაციებისა და კულტების დაფინანსებისათვის, განსაზღვრავს რელიგიურ სწავლებათა პოლიტიკას სახელმწიფოში. მისი გამოცდილების გაცნობა და გაზიარება საინტერესო და მნიშვნელოვანია რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის.

ვიზიტის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა და რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელშეწყობით 2016 წლის 7-8 ივნისს ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები“. კონფერენციის მუშაობაში ქართველ და რუმინელ მეცნიერებთან, სასულიერო პირებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს რუმინეთის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო მდივანმა, ფილოსოფიის დოქტორმა ვიქტორ ოპასკიმ (თემით: „წმინდა ანთიმოზ ივერიელი - განსაკუთრებული ღვაწლი რუმინეთის განახლების საქმეში“) და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ (თემით: „წმინდა ანთიმოზ ივერიელი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: კულტურული და თეოლოგიური ანალიზი“).

რუმინელი სტუმარი ეწვია ანთიმოზ ივერიელის მშობლიურ კუთხეს, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეს და დაესწრო წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის მამათა მონასტერში ქართველი და რუმინელი სასულიერო პირების მონაწილეობით გამართულ ერთობლივი ღვთისმსახურებას.

საინტერესო იყო რუმინეთის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო მდივნის შეხვედრა ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებთან - სტუმარი გაეცნო საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას და სათათბიროს წევრებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა რელიგიური კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს, რუმინეთის გამოცდილებაზე. ვიზიტის ბოლოს, ვიქტორ ოპასკიმ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე რუმინეთის სახელმწიფოსა და საპატრიარქოს ჯილდოთი, დიდი ქართველი განმანათლებლის, წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ოქროს მედლებით დააჯილდოვა.

**2016 წლის მაისში, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მოწვევითა და რელიგიის სააგენტოს მონაწილეობით, თბილისს ისლამურ სამყაროში უაღრესად ავტორიტეტული სასულიერო მოღვაწის, ისლამური სამყაროს ერთ-ერთი სულიერი ლიდერის, აიათოლა სეიდ ალი სისტანის წარმომადგენელი, აიათოლა სეიდ ჯავად შაჰრისტანი ეწვია.** ზაზა ვაშაყმაძესთან შეხვედრისას, სტუმარმა მაღალი შეფასება მისცა ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა მიმართ. აიათოლა შაჰრისტანმა აღნიშნა, რომ საქართველო უნიკალური მაგალითია თავად მუსლიმ თემში, შიიტ და სუნიტ მუსლიმებს შორის ურთიერთობის თვალსაზრისითაც. მათ შორის სრული ურთიერთგაგება და თანამშრომლობაა.

ამასთან ერთად, ზაზა ვაშაყმაძემ სტუმარს გააცნო რელიგიის სააგენტოს ინტერრელიგიური საბჭოს საქმიანობა. აიათოლა შაჰრისტანის თქმით, სხვადასხვა რელიგიებს შორის ამგვარი ღია და პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული თანამშრომლობა სამაგალითოა და ბადებს იმედს, რომ საქართველო კვლავაც რელიგიური ტოლერანტობის მაღალი კულტურით გამორჩეულ ქვეყნად დარჩება.

აიათოლა შაჰრისტანი ახალციხესა და ბათუმსაც ეწვია, სადაც ქართველ მუსლიმებსა და მათ საქმიანობას გაეცნო. მარნეულში ყოფნისას სტუმარი მეჩეთის გახსნას დაესწრო. იმავე დღეს გაიხსნა თვალის კლინიკაც, რომელიც აიათოლას ფინანსური

მხარდაჭერით აშენდა. ვიზიტის ფარგლებში საფუძველი ბაგა-ბაღის მშენებლობასაც ჩაეყარა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტოს ინიციატივით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან - ილია II-სა და მართლმადიდებელ ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირებთან გამართულ შეხვედრაზე აიათოლა შაჰრისტანმა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა აბას თალები ფარმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს რელიგიებს შორის დიალოგის აუცილებლობის, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტულ გარემოში თანაცხოვრების მნიშვნელობაზე. ითქვა, რომ ის ტრადიცია, რომელიც მან ამ ქვეყანაში არსებობს მსოფლიოსთვის სამაგალითო უნდა გახდეს. „ტერორიზმს რელიგია არ აქვს. ის ანგრევს ურთიერთობებს, უდიდესი ზიანისა და ტკივილის მომტანია ყველასთვის, განურჩევლად რელიგიისა „ - განაცხადა სტუმარმა.

**2016 წლის მნიშვნელოვან მოვლენად რჩება საქართველოში რომის პაპის -ფრანცისკეს I-ის ვიზიტი.** სააგენტო მონაწილეობდა აღნიშნული ვიზიტის ორგანიზებაში. "საქართველოში ორი სიურპრიზი დამხვდა - ერთი არის თავად საქართველო. მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს. ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, ადამიანი უდიდესი და ღრმა რწმენით. ის არის ღვთის კაცი" - განაცხადა რომის პაპმა.

პაპის ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რელიგიური, ისე - პოლიტიკური თვალსაზრისითაც. საერთაშორისო ურთიერთობებში ვატიკანის პოზიცია საქართველოსთვის მნიშვნელოვანია განსაკუთრებით არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით. რომის პაპი შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, საპატრიარქოს და სხვადასხვა რელიგიური კონფესიების და საზოგადოების წარმომადგენლებს.

ამასთან ერთად, **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაარსების პირველივე დღიდანვე ტრადიციად დაამკვიდრა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან მჭიდრო ურთიერთობა, საერთო, მნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივად განხილვა, წინადადებებისა და მოსაზრებების გაზიარება და შემდგომი თანამშრომლობის დაგეგმვა რელიგიის სფეროს მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით,** რადგან რაც არ უნდა განსხვავებული იყოს ქვეყნების ცხოვრებისეული, სამოქალაქო თუ რელიგიური პოზიციები, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას ალტერნატივა არ გააჩნია. ბევრ ქვეყანას კი ამ მიმართულებით საქართველოსთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

დიპლომატიური კორპუსის ხელშეწყობით სააგენტომ დღემდე 15 ქვეყანაში განახორციელა ოფიციალური ვიზიტი.

სააგენტოს თანამშრომლობა და მეგობრობა დღემდე გრძელდება ამერიკის, თურქეთის, ისრაელის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ირანის, ყატარის, ჩეხეთის, ნიდერლანდების, ავსტრიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საელჩოებთან.

**ამ თანამშრომლობის შედეგად 2016 წელს დაიგეგმა:**

კონფერენცია-სემინარი ქართველი და ამერიკელი ექსპერტების მონაწილეობით;

- საჯარო ლექციების ციკლი კრაკოვში მრავალრელიგიური და მრავალეთნიკური საქართველოს გასაცნობად;
- ისრაელის ქნესეთისათვის საქართველოს რელიგიის სახელმწიფო პოლიტიკის გაცნობა;
- ოფიციალური ვიზიტი ავსტრიაში ამ ქვეყნის რელიგიის პოლიტიკის გასაცნობად;
- საქართველოში გერმანელთა დამკვიდრების 200 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებები;

## საზოგადოებასთან ურთიერთობა და მედია

საზოგადოებაში რელიგიის თავისუფლებისა და შემწყნარებლობის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების, აღიარების, დამკვიდრებისა და პატივისცემის ხელშეწყობას ესაჭიროება გარემო, რომელსაც სახელმწიფო ინსტიტუციები ქმნიან და ამკვიდრებენ საზოგადოებაში.

ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სააგენტოს საქმიანობა მთლიანად ემსახურებოდეს რელიგიურ შემწყნარებლობას, კანონისადმი პატივისცემას, ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების, იდეის დამკვიდრებას.

ამასთან, მრავალრელიგიურ გარემოში თანასწორობასა და შემწყნარებლობაზე დაფუძნებული მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია სააგენტოს პოლიტიკა ეფუძნებოდეს ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ და მორალურ პრინციპებს, რომლებიც, იმავდროულად, რელიგიურ ღირებულებებსაც წარმოადგენს. ამგვარი საქმიანობა სრულად შეესაბამება სააგენტოს მისიას.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით ახორციელებს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური საქმიანობას და, შესაბამისად, სამსახურის ზოგადი პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია არა მხოლოდ ადამიანთა რელიგიური თავისუფლების დარღვევის ფაქტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრება, არამედ შინაგანი პროტესტის გამოწვევა, რაც გამორიცხავს ადამიანთა რელიგიური თავისუფლების დარღვევის შესაძლებლობას. შესაბამისად, რელიგიის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის პოლიტიკა გათვლილია საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის მოპოვებაზე.

ამ მიზნის მისაღწევად სააგენტო ორი მიმართულებით ახორციელებდა საქმიანობას:

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის გრძელვადიანი სტრატეგიით, რაც ითვალისწინებს **სახელმწიფოში ადამიანთა რელიგიური უფლებების მიმართ მგრძნობელობის გაზრდას.**

- სტრატეგიის განსახორციელებლად კვლავ პრიორიტეტულია:
- ყველა შესაძლო მედიასაშუალების გამოყენება ინფორმაციის გასაცემად;
- სახელისუფლო სტრუქტურებთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი მოტივირება, რათა მათ თავის მხრივ გაუწიონ ლობირება ადამიანის უფლებების დაცვის თემას;
- ინტენსიური საერთაშორისო კავშირები და ურთიერთობა; ახალგაზრდებთან (განსაკუთრებით, სტუდენტებთან) ურთიერთობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

2. გრძელვადიანი საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფს საზოგადოების ინტერესი ოპერატიული ინფორმაციის მიმართ.

ამ მიმართულებით 2016 წელი სააგენტოსთვის საკმაოდ პროდუქტიული იყო:

გასულ წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა გამჭვირვალე იყო საინფორმაციო საშუალებებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მასალები სახელმწიფოში მიმდინარე რელიგიური ცხოვრების შესახებ ყველა მედიასაშუალებით: სააგენტოს ვებგვერდით, პრესით, ტელევიზიით, სააგენტოებით, სოციალური ქსელებით( ტვიტერი, ფეისბუკი), გადაიცემოდა.

2016 წელს არაერთი ინტერვიუ მომზადდა პრესისათვის. ჩვენი პარტნიორები იყვნენ: ჟურნალი „კარიბჭე“, გაზეთები: „საბა“, „კვირის პალიტრა“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესი“ ( 2 ინტერვიუ); ვრცლად გაშუქდა სააგენტოს დელეგაციის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში (გაზეთი „რეზონანსი“) და რუმინეთის სახელმწიფოს რელიგიის სამდივნოს ვიზიტი საქართველოში; ინტერნეტპორტალმა „ომი და მშვიდობა“ ასევე ვრცლად მიმოიხილა მიმდინარე რელიგიური ცხოვრება და პრობლემები; სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ მასალები (4 სტატია) გამოქვეყნდა საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებშიც (3 მათგანი საერთაშორისო თურქულმა სააგენტო „ანადოლუმ“ მოამზადა) :
http://www.memleket.com.tr/tiflisin-hosgoru-yuzu-998156h.htm
http://www.trthaber.com/foto-galeri/tiflisin-hosgoru-yuzu/13556.html
http://www.bik.gov.tr/tiflisin-hosgoru-yuzu/

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა ტელევიზიასთან - საზოგადოებრივ მაუწყებელთან (პირველი და მეორე არხი, აჭარის ტელევიზია), ტელეკომპანიებთან: იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, იბერია, ერთსულოვნება, GDS, TV პირველი, სტუდია „რე“. ზემოჩამოთვლილი სატელევიზიო არხებით გადაიცა სულ 267 სიუჟეტი, მათ შორის, 65 სიუჟეტი - განსხვავებული სიხშირით.

ოპერატიული ინფორმაციის გარდა, მომზადდა და ეთერში გავიდა 8 სატელევიზიო და 2 რადიოინტერვიუ (რადიო „თავისუფლება“);

საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსით 198 ნიუსი გავიდა, რომელთაგან 48 სხვადასხვა ინტერნეტპორტალმა გადაბეჭდა;

საანგარიშო წელიწადში სააგენტოს მედიასაშუალებებს დაემატა **ტვიტერი,** რომელზეც განთავსდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც უწყების საქმიანობა კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა და **ფეისბუკლაივი,** რომლის მეშვეობითაც გასულ წელს განხორციელდა პირდაპირი ჩართვა ბათუმიდან, მუსლიმთა სამმართველოს საანგარიშო ყრილობიდან. ფეისბუკის მომხმარებლებს საშუალება მიეცათ თვალი ადევნონ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გამჭვირვალობისა და სანდოობის ხარისხს.

2016 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მოამზადა რამდენიმე პრესკონფერენცია, კერძოდ:

ძალზე აქტუალურ და საქართველოს მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხზე, ე. წ. **„მოხეს კომისიის"** მუშაობის შესახებ, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ, მონაწილე მხარეებისგან მიეღოთ პირველადი ინფორმაცია, რაც საზოგადოებისათვის სანდოობის გაცილებით მაღალ ხარისხს ქმნის;

რუმინეთის რელიგიისა და კულტების მინისტრის ვიქტორ ოპასკისა და ზაზა ვაშაყმაძის ერთობლივი პრესკონფერენცია;

ისლამური სამყაროს ცნობილი რელიგიური ლიდერის, აიათოლა შაჰრისტანისა და რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყმაძის ერთობლივი პრესკონფერენცია.

ისლამურ სამყაროში ცნობილი რელიგიური ლიდერის საქართველოში ვიზიტი მსოფლიოს ისლამური ქვეყნების ყურადღების ცენტრში მოექცა. ირანის, თურქეთის, ერაყის, ყატარის, აზერბაიჯანის მედია აქტიურად აშუქებდა აიათოლას ვიზიტის დეტალებს.
http://im.imamhussain.org/arabic/general/4662
http://iraq.shafaqna.com/AR/36043
http://fa.shafaqna.com/news/168290/
http://fa.shafaqna.com/news/167149/
http://bgmi.ge/index.php/world-news/item/246-ayaetullah-sistaninin-numayaendaesi-zhurdzustan-patriarkhi-ii-ilya-ilae-zhoerushdu
http://islamazeri.az/
http://tr.shafaqna.com/archives/17680
http://ar.shafaqna.com/AR/88755
http://teleqraf.com/news/97344

ბოლო წლებში მსოფლიოში არსებული რელიგიური დაპირისპირების ფონზე, ამგვარი ინტერესი სრულიად კანონზომიერი იყო.

რა თქმა უნდა, იყო შენიშვნებიც და ჩვენი საქმიანობის მიმართ გამოთქმული მკაცრი შეფასებებიც, კერძოდ, საკმაოდ კრიტიკული იყო ჟურნალი „ტაბულა" ( 24 აგვისტო, 2016 წელი), „ლიბერალი" (დეკემბერი, 2016 წელი), ჟურნალი „სამხრეთის კარიბჭე". გამოთქმულ შენიშვნებთან და მოსაზრებებთან დაკავშირებით სააგენტომ ჟურნალისტებისათვის შესაბამისი განმარტებები გააკეთა.

# რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

**საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის ექვსი სხდომა, განხილული იყო 284 საკითხი.**

**2016 წლის 25 თებერვლის სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 44 | 27 | 9 | 8 |
| მუსლიმური თემი | 14 | 12 | | 2 |
| ეზიდთა თემი | 1 | 1 | | |
| სახარების რწმენის წმინდა ეკლესია | 1 | 1 | | |

**2016 წლის 22 აპრილის სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 54 | 43 | 2 | 9 |
| მუსლიმური თემი | 13 | 12 | | 1 |
| სომეხ კათოლიკეთა ეკლესია | 1 | 1 | | |

**2016 წლის 30 მაისის სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 18 | 14 | 2 | 2 |
| მუსლიმური თემი | 14 | 14 | | |
| იუდეური თემი | 1 | 1 | | |
| ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | | |

**2016 წლის 26 აგვისტოს სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 39 | 32 | 6 | 1 |
| მუსლიმური თემი | 16 | 16 | | |
| ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია | 1 | 1 | | |

**2016 წლის 28 ნოემბრის სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 29 | 25 | 2 | 2 |
| მუსლიმური თემი | 24 | 24 | | |
| სომეხთა სამოციქულო ეკლესია | 2 | 2 | | |
| იუდეური თემი | 1 | 1 | | |
| მეშვიდე დღის ადვენტისტები | 1 | 1 | | |

**2016 წლის 21 დეკემბრის სხდომა**

| რელიგიური თემი | შუამდგომლობა | დაკმაყოფილდა | ხარვეზი | უარი |
|---|---|---|---|---|
| მართმადიდებელი ეკლესია | 9 | 8 | | 1 |

# 2016 წელს განხორციელებული აქტივობები:

- **საქველმოქმედო აქციები** :

  - ბათუმში, ხელვაჩაურში (ორი), საჩხერეში, ახალციხეში, ვანში - სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის;

  - მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოს ამბროსი ხელაიას სახელობის გიმნაზიაში - პანსიონის მოსწავლეებისათვის ( 155 მოსწავლე); (რელიგიის სააგენტოსა და ფრიდენსბოტეს მისიის საქართველოს ფილიალის ერთობლივი ღონისძიება);

- **ახალციხის სინაგოგის 275 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები**

  (რელიგიის სააგენტოს, ებრაული თემისა და ახალციხის მერიის ერთობლივი ღონისძიება);

- **ონის სინაგოგის აღმშენებლის - ელია ამშიკაშვილისა და მისის შთამომავლის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ქართულ-ებრაული ურთიერთობების ისტორიის ღვაწლმოსილი მემატიანის დავით ბუზუკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო დავით బააზოვის სახელობის ქართულ-ებრაული მეგობრობის მუზეუმში**

  (რელიგიის სააგენტოსა და ებრაელთა კავშირის ერთობლივი ღონისძიება);

- **ტრენინგი „რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი" საჯარო მოხელეებისათვის სიღნაღსა და ანაკლიაში;**

- **სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან;**

- **სააგენტოს თავმჯდომარის საჯარო ლექცია საქართველოში სტუმრად მყოფი მსოფლიოს კოლეჯთა გაერთიანების დილიჟანის კოლეჯის სტუდენტებისთვის;**

- **სააგენტოს თავმჯდომარის საჯარო ლექცია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის სტუდენტებისთვის.**

- **სააგენტოსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების ერთობლივი სემინარი რელიგიის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ;**

- **იფთარი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელით გამართული საზეიმო ვახშამი მუსლიმანებისათვის;**

- **ტოლერანტობის საერთაშორისო დღე საქართველოს საპატრიარქოში.**

  (საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერების შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან და **სააგენტოს ინიციატივა, ყოველ წელს სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციაში ამ დღის ერთობლივად აღნიშვნის შესახებ).**

**ოფიციალური შეხვედრები უცხოელ სტუმრებთან:**

- **ბორის სილევიჩთან და კერსტინ ლუნდგრენთან - ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებთან;**
- **სადეგ დესორხთან - ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა შაჰრისტანის წარმომადგენელთან;**
- **ქეთრინ ქოსმანთან - ამერიკის რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო კომისიის ოფიცერთან;**
- **რენე ლევონიანთან - ევრაზიის ევანგელისტური რეგიონალური სომხური ეკლესიის პრეზიდენტთან;**
- **იმან მასმუდთან - ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევართან;**
- **კეილა ჩანგთან - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - „ მსოფლიო მშვიდობისა და სინათლის აღდგენისათვის“, წარმომადგენელთან;**
- **სეიდ ალი აქბარ ოჯახ ნეჯედთან - ირანის სულიერი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის წარმომადგენელთან;**

# დანართი – ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში (2016)

2016 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 52 (ორმოცდა-თორმეტი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 4 (ოთხი) ხელშეკრურულება (საწვავის, საბეჭდი ქაღალდის (2) და ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის), გამარტივებული ელექტრონული ტენდერით 9 (ცხრა) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 39 (ოცდაცხრამეტი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველკვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (https://www.ebudget.ge/) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 9 (ცხრა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. ატვირტულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები. ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია

52 (ორმოცდათორმეტი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5501) და 8 (რვა) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5502) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (2), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი(2), სსიპ სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია(2) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია(2)).

**ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2016 წლის**

| | | გეგმა 2016 წლის | საკასო შესრულება | პროცენტული შესრულება მუხლობრივად |
|---|---|---|---|---|
| **55 01** | **სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (აპარატი)** | | | |
| | ჯამური | 1 100 000.00 | 781 271.22 | 71.02% |
| 2 | ხარჯები | 1 085 000.00 | 774 851.22 | |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება | 800 000.00 | 562 217.42 | 70.28% |
| 2.1.1.1.1 | თანამდებობრივი სარგო | | 320 167.42 | |
| 2.1.1.1.3 | პრემია | | 50 350.00 | |
| 2.1.1.1.4 | დანამატი | | 191 700.00 | |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 275 000.00 | 207 133.46 | 75.32% |
| 2.2.1 | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | 49 747.61 | |
| 2.2.10 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 30 522.64 | |
| 2.2.10.14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | | 17 227.50 | |
| 2.2.10.5 | რეკლამის ხარჯი | | 260.00 | |
| 2.2.10.6 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | | 11 330.95 | |
| 2.2.10.7 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | | 1 704.19 | |
| 2.2.2 | მივლინება | | 34 963.96 | |
| 2.2.2.1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | | 10 375.00 | |
| 2.2.2.2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | | 24 588.96 | |
| 2.2.3 | ოფისის ხარჯები | | 75 396.98 | |
| 2.2.3.1 | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | | 3 729.29 | |
| 2.2.3.10 | კავშირგაბმულობის ხარჯი | | 13 905.64 | |
| 2.2.3.11 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | | 713.97 | |
| 2.2.3.3 | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები | | 28 661.00 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2.3.4 | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯი | | 15 604.92 | |
| 2.2.3.4.1 | ტელევიზორი | | 796.00 | |
| 2.2.3.4.2 | მაცივარი | | 399.00 | |
| 2.2.3.4.3 | კომპიუტერული ტექნიკა | | 720.00 | |
| 2.2.3.4.5 | კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა | | 9 573.92 | |
| 2.2.3.4.8 | ტელეფონის, ფაქსის აპარატი | | 4 116.00 | |
| 2.2.3.5 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | | 10 691.31 | |
| 2.2.3.5.1 | საოფისე ავეჯი | | 7 170.00 | |
| 2.2.3.5.3 | სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი | | 3 521.31 | |
| 2.2.3.6 | ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი | | 1 405.85 | |
| 2.2.3.7 | რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი | | 5.00 | |
| 2.2.3.9 | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | | 680.00 | |
| 2.2.4 | წარმომადგენლობითი ხარჯები | | 2 625.00 | |
| 2.2.8 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | | 13 877.27 | |
| 2.2.8.1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | | 7 807.31 | |
| 2.2.8.3 | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | | 4 769.96 | |
| 2.2.8.4 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | | 1 300.00 | |
| 2.7 | სოციალური უზრუნველყოფა | 5 000.00 | 2 890.91 | 57.82% |
| 2.7.3.1 | დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება-ფულადი ფორმით | | 2 890.91 | |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 5 000.00 | 2 609.43 | 52.19% |
| 2.8.2 | სხვადასხვა ხარჯები | | 2 609.43 | |
| 2.8.2.1 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | | 2 609.43 | |
| 2.8.2.1.4 | სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი | | 2 609.43 | |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15 000.00 | 6 420.00 | 42.80% |
| 31.1 | ძირითადი აქტივები | | 6 420.00 | |
| 31.1.2 | მანქანა დანადგარები და ინვენტარი | | 6 420.00 | |
| 31.1.2.2.14 | ავეჯი | | 1 730.00 | |
| 31.1.2.2.20 | სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული | | 550.00 | |
| 31.1.2.2.3 | კომპიუტერი | | 1 150.00 | |
| 31.1.2.2.5 | პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები | | 2 990.00 | |
| **55 02** | **რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება** | | | |
| 2.5 | სუბსიდიები | 4 500 000.00 | 4 500 000.00 | 100.00% |

| სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | | | |
|---|---|---|---|
| **ორგანიზაციული კოდი** | **დასახელება** | **2016 წლის დამტკიცებული გეგმა** | **2016 წლის საკასო ხარჯი** |
| 55 00 | **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** | **5 600 000** | **5 281 271** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | 22 |
| | ხარჯები | 5 585 000 | 5 274 851 |
| | შრომის ანაზღაურება | 800 000 | 562 217 |
| | საქონელი და მომსახურება | 275 000 | 207 133 |
| | სუბსიდიები | 4 500 000 | 4 500 000 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 5 000 | 2 891 |
| | სხვა ხარჯები | 5 000 | 2 609 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15 000 | 6 420 |
| 55 01 | **სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** | **1 100 000** | **781 271** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 22 | 22 |
| | ხარჯები | 1 085 000 | 774 851 |
| | შრომის ანაზღაურება | 800 000 | 562 217 |
| | საქონელი და მომსახურება | 275 000 | 207 133 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 5 000 | 2 891 |
| | სხვა ხარჯები | 5 000 | 2 609 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 15 000 | 6 420 |
| 55 02 | **რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება** | **4 500 000** | **4 500 000** |
| | ხარჯები | 4 500 000 | 4 500 000 |
| | სუბსიდიები | 4 500 000 | 4 500 000 |

**205311232 - სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო**

სახელმწიფო ბიუჯეტი

ინფორმაცია ხელშეკრულებებზე

| ორგ. კოდი | ხელშეკრულება | ხელშ. თარიღი | მომწოდებელი | | ხელშ. მთლიანი თანხა | შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 55 01 | **1** | 29.12.2015 | 204493002 | შ.პ.ს. „რომპეტროლ საქართველო“ | **13 230.00** | **7 078.64** |
| 55 01 | **2** | 01.01.2016 | 404858631 | სს სს არდი დაზღვევა | **2 609.43** | **2 609.43** |
| 55 01 | **3** | 04.01.2016 | 203836233 | შპს "საქართველოს ფოსტა" | **3 500.00** | **713.97** |
| 55 01 | **4** | 04.01.2016 | 204566978 | სს სს სილქნეტი | **1 080.00** | **282.00** |
| 55 01 | **5** | 04.01.2016 | 203862622 | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" | **576.00** | **576.00** |
| 55 01 | **6** | 04.01.2016 | 202164736 | შ.პ.ს. ,,მარგალიტი ლიმიტედ" | **500.00** | **500.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 55 01 | **7** | 15.01.2016 | 01013024514 | ი/მ ნიკო ჯაშიაშვილი | **600.00** | **528.00** |
| 55 01 | **8** | 18.01.2016 | 204447544 | შპს შპს აიფიემ კვლევები | **4 400.00** | **4 400.00** |
| 55 01 | **9** | 18.01.2016 | 205075014 | შპს "ახალი ამბები" | **10 129.00** | **10 129.00** |
| 55 01 | **10** | 20.01.2016 | 236098165 | სს სს ფრანს ავტო | 433.00 | 433.00 |
| 55 01 | **11** | 25.01.2016 | 203841940 | შპს "ჯეოსელი" | **7 500.00** | **4 303.60** |
| 55 01 | **12** | 12.02.2016 | 404429506 | შპს შპს პრინტ ოფისი | 260.00 | 260.00 |
| 55 01 | **13** | 10.02.2016 | 01024011170 | ი/მ, ლალი კერესელიძე | 500.00 | 500.00 |
| 55 01 | **14** | 10.02.2016 | 01019036023 | მერაბ ყიფიანი | 1 125.00 | 1 125.00 |
| 55 01 | **15** | 10.02.2016 | 203842333 | შ\პ\ს, ჯი-ემ-თი სასტუმროები | 6 289.40 | 6 289.40 |
| 55 01 | **16** | 24.02.2016 | 203868635 | შპს ,,დეკორი" | 262.00 | 262.00 |
| 55 01 | **17** | 22.03.2016 | 404888528 | შპს შპს აიდიეს ბორჯომი თბილისი | **1 200.00** | **750.00** |
| 55 01 | **18** | 22.03.2016 | 412706111 | შპს შპს აი თი ეს სი | 700.00 | 680.00 |
| 55 01 | **19** | 01.04.2016 | 01008005432 | ი/მ მიხეილ ხიზანიშვილი | 1 300.00 | 1 300.00 |
| 55 01 | **20** | 06.04.2016 | 406131591 | შპს შპს კოკნიო | **3 500.00** | **1 486.65** |
| 55 01 | **22** | 07.04.2016 | 400127000 | შპს შპს ლებე პოლიგრაფი | 1 065.00 | 1 065.00 |
| 55 01 | **23** | 13.04.2016 | 226146872 | შპს "ბორჯომი ვოთერსი" | **720.00** | **90.00** |
| 55 01 | **24** | 14.04.2016 | 01009005243 | ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა | 254.00 | 254.00 |
| 55 01 | **25** | 15.04.2016 | 204560901 | შპს შპს ოქეი | 796.00 | 796.00 |
| 55 01 | **26** | 15.04.2016 | 203838277 | შ\პ\ს მბს | 4 116.00 | 4 116.00 |
| 55 01 | **27** | 15.04.2016 | 204560901 | შპს შპს ოქეი | 399.00 | 399.00 |
| 55 01 | **28** | 15.04.2016 | 205159718 | შ.პ.ს. ,,უნივერსალ ინტრალოჯისტიკს" | 550.00 | 550.00 |
| 55 01 | **29** | 15.04.2016 | 204964039 | შ.პ.ს. ''ოფის 1'' | 230.00 | 230.00 |
| 55 01 | **30** | 27.04.2016 | 406174483 | შპს შპს ტიფანი | 8 900.00 | 8 900.00 |
| 55 01 | **31** | 28.04.2016 | 405096006 | შპს შპს ჯეოესემი | 984.00 | 984.00 |
| 55 01 | **32** | 03.05.2016 | 203838277 | შ\პ\ს მბს | 11 880.00 | 11 880.00 |
| 55 01 | **33** | 16.05.2016 | 204876606 | შპს ,,მაგთიკომი | **3 600.00** | **3 600.00** |
| 55 01 | **34** | 24.05.2016 | 203838277 | შ\პ\ს მბს | 201.00 | 201.00 |
| 55 01 | **35** | 10.06.2016 | 203838277 | შ\პ\ს მბს | 3 350.00 | 3 350.00 |
| 55 01 | **36** | 20.06.2016 | 236098165 | სს სს ფრანს ავტო | 425.00 | 425.00 |
| 55 01 | **37** | 22.06.2016 | 206343991 | სს სს გუდვილი | **1 100.00** | **0** |
| 55 01 | **38** | 11.07.2016 | 202405691 | შპს შპს ალფა ფორვარდი | 333.92 | 333.92 |
| 55 01 | **39** | 22.07.2016 | 01024011170 | ი/მ, ლალი კერესელიძე | 704.19 | 704.19 |
| 55 01 | **40** | 22.07.2016 | 203842333 | შ\პ\ს, ჯი-ემ-თი სასტუმროები | 5 041.55 | 5 041.55 |
| 55 01 | **41** | 22.07.2016 | 01019036023 | მერაბ ყიფიანი | 750.00 | 750.00 |
| 55 01 | **42** | 22.07.2016 | 01009005243 | ი/მ გიორგი კანდელაკი-ვესტა | 248.80 | 248.80 |
| 55 01 | **43** | 09.08.2016 | 236098165 | სს სს ფრანს ავტო | 325.00 | 325.00 |
| 55 01 | **44** | 15.08.2016 | 204876606 | შპს ,,მაგთიკომი | **2 750.00** | **2 596.77** |
| 55 01 | **45** | 27.09.2016 | 236098165 | სს სს ფრანს ავტო | **1 000.00** | **940.00** |
| 55 01 | **46** | 31.10.2016 | 204876606 | შპს ,,მაგთიკომი | 2 200.00 | 2 200.00 |
| 55 01 | **47** | 16.11.2016 | 209437493 | სს ,,კარტოგრაფია" | 11 250.00 | 11 250.00 |
| 55 01 | **48** | 24.11.2016 | 208194292 | შპს "მათი" | 250.00 | 250.00 |
| 55 01 | **49** | 25.11.2016 | 208149859 | შპს გამომცემლობა "კოლორი" | 15 770.00 | 15 770.00 |
| 55 01 | **50** | 08.12.2016 | 236098165 | სს სს ფრანს ავტო | 300.00 | 300.00 |
| 55 01 | **51** | 14.12.2016 | 206276340 | შპს "ჯი-თი მოტორს" | 115.20 | 115.20 |
| 55 01 | **52** | 22.12.2016 | 404429506 | შპს შპს პრინტ ოფისი | 5 400.00 | 5 400.00 |

## ინფორმაცია მივლინების შესახებ

**205311232** სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

| მივლინება ქვეყნის გარეთ | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **დანართის ტიპი** | **მივლინების დოკუმენტი** | **მივლინების ადგილი** | **მივლინების პერიოდი** | **სახელი და გვარი** | **თანხა სულ** | **ხარჯი ტიპი** | **დღეების რაოდენობა** | **თანხა** |
| ქვეყნის გარეთ | ბრძანება 10/1-22/02/2016 | აშშ-ვაშინგტონი | 28.02.2016 - 02.03.2016 | მალხაზ აფციაური | **2 838.53** | დღიური ნორმა | 4 | 596 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 1342 |
| | | | 28.02.2016 - 02.03.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **2 838.53** | დღიური ნორმა | 4 | 596 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 1342 |
| | | | 28.02.2016 - 02.03.2016 | არჩილ მეტრეველი | **2 838.53** | დღიური ნორმა | 4 | 596 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 1342 |
| | | აშშ- ნიუ–იორკი | 03.03.2016 - 07.03.2016 | მალხაზ აფციაური | **4 181.80** | დღიური ნორმა | 5 | 746 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | | | 200 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 2336 |
| | | | 03.03.2016 - 07.03.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **4 216.80** | დღიური ნორმა | 5 | 746 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | | | 235 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 2336 |
| | | | 03.03.2016 - 07.03.2016 | არჩილ მეტრეველი | **4 216.80** | დღიური ნორმა | 5 | 746 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 900 |
| | | | | | | | | 235 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 2336 |
| ქვეყნის გარეთ | ბრძანება 18/1-26/04/2016 | შვეიცარია-ჟენევა | 01.05.2016 - 04.05.2016 | გელა კვარაცხელია | **3 429.78** | დღიური ნორმა | 4 | 733 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 910 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 1787 |
| **სულ მივლინება ქვეყნის გარეთ** | | | | | | | | **24561** |

| მივლინება ქვეყნის შიგნით | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 11/1-09/03/2016 | საქართველო-ბათუმი | 09.03.2016 - 14.03.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **90.00** | დღიური ნორმა | 6 | 90 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 5 | 0 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 12/1-24/03/2016 | საქართველო-ბათუმი | 25.03.2016 - 26.03.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 25.03.2016 - 26.03.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 13/1-30/03/2016 | საქართველო-გარდაბანი | 31.03.2016 - 31.03.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 31.03.2016 - 31.03.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 31.03.2016 - 31.03.2016 | არჩილ მეტრეველი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 31.03.2016 - 31.03.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 31.03.2016 - 31.03.2016 | გელა კვარაცხელია | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 17/1-19/04/2016 | საქართველო-ბათუმი | 19.04.2016 - 20.04.2016 | მიხეილ სიგუა | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 19.04.2016 - 20.04.2016 | გელა კვარაცხელია | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 20/1-28/04/2016 | საქართველო-ბათუმი | 29.04.2016 - 29.04.2016 | მიხეილ სიგუა | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.04.2016 - 29.04.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 21/1-06/05/2016 | საქართველო-ბათუმი | 08.05.2016 - 09.05.2016 | მალხაზ აფციაური | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 08.05.2016 - 09.05.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 22/1-13/05/2016 | საქართველო-ბათუმი | 14.05.2016 - 15.05.2016 | მიხეილ სიგუა | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 14.05.2016 - 15.05.2016 | მალხაზ აფციაური | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 14.05.2016 - 15.05.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 14.05.2016 - 15.05.2016 | არჩილ მეტრეველი | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 24/1-27/05/2016 | საქართველო-ახალციხე | 29.05.2016 - 29.05.2016 | მიხეილ სიგუა | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.05.2016 - 29.05.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.05.2016 - 29.05.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.05.2016 - 29.05.2016 | ვალერიან ლილუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.05.2016 - 29.05.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 29.05.2016 - 29.05.2016 | გელა კვარაცხელია | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 26/1-09/06/2016 | საქართველო-ახალციხე | 09.06.2016 - 09.06.2016 | მიხეილ სიგუა | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 09.06.2016 - 09.06.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 09.06.2016 - 09.06.2016 | დავითი დავითაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 09.06.2016 - 09.06.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 09.06.2016 - 09.06.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 29/1-04/07/2016 | საქართველო-ბათუმი | 04.07.2016 - 09.07.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **90.00** | დღიური ნორმა | 6 | 90 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 5 | 0 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 3/1-13/01/2016 | საქართველო-ახალციხე | 14.01.2016 - 14.01.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 14.01.2016 - 14.01.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 14.01.2016 - 14.01.2016 | არჩილ მეტრეველი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 14.01.2016 - 14.01.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 14.01.2016 - 14.01.2016 | გელა კვარაცხელია | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 33/1-13/07/2016 | საქართველო-ბათუმი | 14.07.2016 - 17.07.2016 | მიხეილ სიგუა | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 14.07.2016 - 17.07.2016 | მალხაზ აფციაური | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 14.07.2016 - 17.07.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 14.07.2016 - 17.07.2016 | ვალერიან ლილუაშვილი | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 14.07.2016 - 17.07.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 14.07.2016 - 17.07.2016 | გელა კვარაცხელია | **0.00** | დღიური ნორმა | 4 | 0 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 0 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 35/1-25/07/2016 | საქართველო-ბათუმი | 26.07.2016 - 29.07.2016 | მიხეილ სიგუა | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 39/1-29/07/2016 | საქართველო-ბათუმი | 29.07.2016 - 01.08.2016 | ვალერიან ლილუაშვილი | **60.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 4/1-28/01/2016 | საქართველო-ბათუმი | 30.01.2016 - 02.02.2016 | არჩილ გორხელაშვილი | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 30.01.2016 - 02.02.2016 | მალხაზ აფციაური | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 30.01.2016 - 02.02.2016 | დავითი დავითაშვილი | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 30.01.2016 - 02.02.2016 | არჩილ მეტრეველი | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 42/1-03/08/2016 | საქართველო-ბათუმი | 04.08.2016 - 08.08.2016 | მალხაზ აფციაური | **555.00** | დღიური ნორმა | 5 | 75 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 480 |
| | | | 04.08.2016 - 08.08.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **555.00** | დღიური ნორმა | 5 | 75 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 480 |
| | | | 04.08.2016 - 08.08.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **75.00** | დღიური ნორმა | 5 | 75 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 0 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 5/ს-01/02/2016 | საქართველო-ბათუმი | 02.02.2016 - 06.02.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **75.00** | დღიური ნორმა | 5 | 75 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 4 | 0 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 50/1-30/08/2016 | საქართველო-ბათუმი | 01.09.2016 - 04.09.2016 | ლელა ჭიპაშვილი | **410.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 50 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 01.09.2016 - 04.09.2016 | პაატა გერგაია | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 01.09.2016 - 04.09.2016 | მალხაზ აფციაური | **360.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 01.09.2016 - 04.09.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **0.00** | დღიური ნორმა | 4 | 0 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 0 |
| | | | 01.09.2016 - 04.09.2016 | მარინე მაზმიშვილი | **410.00** | დღიური ნორმა | 4 | 60 |
| | | | | | | მგზავრობის ხარჯი | | 50 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 300 |
| | | | 01.09.2016 - 04.09.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **0.00** | დღიური ნორმა | 4 | 0 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 3 | 0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 60/1-04/10/2016 | საქართველო-ახალციხე | 04.10.2016 - 04.10.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 04.10.2016 - 04.10.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 04.10.2016 - 04.10.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 61/1-05/10/2016 | საქართველო-ვანი | 05.10.2016 - 05.10.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 05.10.2016 - 05.10.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 05.10.2016 - 05.10.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 62/1-12/10/2016 | საქართველო-ვანი | 13.10.2016 - 13.10.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 13.10.2016 - 13.10.2016 | არჩილ ლოლაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 13.10.2016 - 13.10.2016 | გიორგი შალვაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 64/ს-13/10/2016 | საქართველო-ადიგენი | 13.10.2016 - 13.10.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 13.10.2016 - 13.10.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 13.10.2016 - 13.10.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 65/1-21/10/2016 | საქართველო-ახალციხე | 22.10.2016 - 22.10.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 22.10.2016 - 22.10.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 22.10.2016 - 22.10.2016 | გიორგი შალვაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 22.10.2016 - 22.10.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 67/1-24/10/2016 | საქართველო-გარდაბანი | 25.10.2016 - 25.10.2016 | არჩილ გორხელაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 25.10.2016 - 25.10.2016 | დავითი დავითაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 25.10.2016 - 25.10.2016 | არჩილ მეტრეველი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 68/1-24/10/2016 | საქართველო-ბათუმი | 25.10.2016 - 26.10.2016 | მალხაზ აფციაური | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |
| | | | 25.10.2016 - 26.10.2016 | გიორგი შალვაშვილი | **130.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 100 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 69/1-31/10/2016 | საქართველო-საჩხერე | 01.11.2016 - 01.11.2016 | პაატა გერგაია | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | ნინო ჭავჭავაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | მარინე მაზმიშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | გიორგი შალვაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.11.2016 - 01.11.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 7/1-12/02/2016 | საქართველო-ბორჯომი | 15.02.2016 - 17.02.2016 | მალხაზ აფციაური | **325.00** | დღიური ნორმა | 3 | 45 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 2 | 250 |
| | | | | | | მივლინებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი | | 30 |
| | | | 15.02.2016 - 17.02.2016 | დავითი დავითაშვილი | **30.00** | დღიური ნორმა | 2 | 30 |
| | | | 15.02.2016 - 17.02.2016 | არჩილ მეტრეველი | **325.00** | დღიური ნორმა | 3 | 45 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 1 | 125 |
| | | | | | | | 1 | 155 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 70/1-02/11/2016 | საქართველო-ახალციხე | 03.11.2016 - 03.11.2016 | მალხაზ აფციაური | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 03.11.2016 - 03.11.2016 | დავითი დავითაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 03.11.2016 - 03.11.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 03.11.2016 - 03.11.2016 | ვეფხვია სიხუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 03.11.2016 - 03.11.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 72/1-17/11/2016 | საქართველო-ბოლნისი | 17.11.2016 - 17.11.2016 | ვალერიან ლილუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 17.11.2016 - 17.11.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 73/1-21/11/2016 | საქართველო-ყვარელი | 22.11.2016 - 22.11.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 22.11.2016 - 22.11.2016 | ვალერიან ლილუაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 22.11.2016 - 22.11.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 74/1-24/11/2016 | საქართველო-მარტვილი | 25.11.2016 - 25.11.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 25.11.2016 - 25.11.2016 | არჩილ ლოლაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 25.11.2016 - 25.11.2016 | გიორგი შალვაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 25.11.2016 - 25.11.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 77/1-30/11/2016 | საქართველო-ადიგენი | 01.12.2016 - 01.12.2016 | დავითი დავითაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.12.2016 - 01.12.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| | | | 01.12.2016 - 01.12.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **15.00** | დღიური ნორმა | 1 | 15 |
| ქვეყნის შიგნით | ბრძანება 80/1-14/12/2016 | საქართველო-ბათუმი | 15.12.2016 - 17.12.2016 | ზაზა ვაშაყმაძე | **245.00** | დღიური ნორმა | 3 | 45 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 2 | 200 |
| | | | 15.12.2016 - 17.12.2016 | გიორგი შალვაშვილი | **245.00** | დღიური ნორმა | 3 | 45 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 2 | 200 |
| | | | 15.12.2016 - 17.12.2016 | მამუკა ბუხნიკაშვილი | **245.00** | დღიური ნორმა | 3 | 45 |
| | | | | | | სასტუმროს ხარჯი | 2 | 200 |
| | **სულ მივლინება ქვეყნის შიგნით** | | | | | | | **10375** |

| დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| შემოსული წერილები | **517** |
| გასული წერილები | **713** |
| **ბრძანებები** | **207** |
| მ.შ ორგანიზაციული | *56* |
| მ.შ კადრების | *69* |
| მ.შ მივლინება/შვებულების | *82* |

**კორესპოდენცია**

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

# 2017 წლის ანგარიში

# რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ზოგადი აღწერა

## რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ზოგადი აღწერა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიური თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა უკიდურესად რთულია, კერძოდ, დარღვეულია ეროვნებით ქართველების :

- რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვის თავისუფლება - რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით;
- გადაადგილების თავისუფლება;
- განათლების უფლება.

## აფხაზეთი

აღნიშნული მძიმე მდგომარეობა აფხაზეთის ა. რ.-ში გამოიხატება შემდეგში: ქართული მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიიდან გამოდევნილია, შესაბამისად, უმრავლეს მართლმადიდებლურ ტაძრებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს.

გალის რაიონის ტერიტორიაზე ოფიციალურად დარეგისტრირებულია 16 000 ქართველი და 4 ქართული ეკლესია, ოთხივე ქართველების მიერაა აღდგენილი, არც ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში ქართულ ენაზე არ აღევლინება წირვა-ლოცვა. ქართველ სასულიერო პირებს, რომლებიც პერიოდულად გადადიან ამ ტერიტორიაზე, რადგან გალის რაიონის ძირძველი მკვიდრნი არიან, არ აქვთ რელიგიური მსახურების შესრულების უფლება. დღეს გალის ქართულ მოსახლეობას ესაჭიროება ქართველი სასულიერო პირი, რადგან თავიანთი რელიგიური უფლებების განსახორციელებლად ისინი ღამით, მალვით გადადიან ზუგდიდში, განსაკუთრებით - დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე და იქ ესწრებიან ღვთისმსახურებას. აფხაზეთის ეპარქიის სასულიერო დასი მზად არის შევიდეს ამ ტერიტორიაზე და აღასრულოს ღვთისმსახურება.

ამასთან, ამ რაიონში არ არის ქართული სკოლა. მშობლიური ენის შესანარჩუნებლად ქართველი მოსახლეობა ტოვებს ამ ტერიტორიას, საკუთარ სახლ- კარს და გადადის ზუგდიდში, რათა ბავშვები იქ შეიყვანონ სკოლაში.

მიმდინარე წლებში აღინიშნება ქართველ მართლმადიდებელთა მრევლის და სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვის მრავალრიცხოვანი ფაქტი, როდესაც ქართველ მრევლს და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ქართველ სასულიერო პირებს არ ეძლევათ ან ეზღუდებათ საშუალება დაესწრონ ან/და აღასრულონ რელიგიური დღესასწაულების დროს გამყოფ ხაზს იქით მოქცეულ ტაძრებში ღვთისმსახურება ან/და მოინახულონ წინაპართა საფლავები, ან ეძლევათ ამის საშუალება მხოლოდ განსაკუთრებულ, იშვიათ დღეებში.

2009 წელს ადგილი ქონდა გალის ქართულენოვანი მოსახლეობის დაშინებისა და

მათი სიწმინდეების შებილწვის მცდელობას *„...აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ თორნიკე კილანავამ განაცხადა: „კონფლიქტის ზონაში მცხოვრებმა ქართველობამ სოფლების შესასვლელსა და ცენტრებში ჯვრების აღმართვა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ზემო აფხაზეთიდან სასულიერო პირები გამოაძევეს და ქართულად წირვა შეწყდა. სწორედ ამ ჯვრებთან ატარებდა ქართული მოსახლეობა საეკლესიო რიტუალებს, ოკუპანტებმა მათ ამის საშუალება აღარ მისცეს, მოსახლეობა დაარბიეს, ჯვრები გადათელეს და მოსახლეობას მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში უფრო სასტიკად გასწორებით დაემუქრნენ. “*[1]

იმავე წელს გალის რაიონიდან გამოძევებულ იქნენ ქართველი სასულიერო პირები, ამ მოვლენამ ასახვა პოვა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც: *„2009 წლის მარტში, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს ჯაშუშობაში დასდო ბრალი და 2009 წლის 4 აპრილს ისინი აფხაზეთიდან განდევნა. 2009 წლის აპრილის დასაწყისში, აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ კოდორის ხეობის სოფელ აჭარის წმინდა გიორგის მონასტრიდან გააძევა ოთხი ქართველი ბერი და სამი მონაზონი, იმ მიზეზით, რომ ისინი კოდორის ხეობაში აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას არ სცნობდნენ. პრესაში გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით, ბერები და მონაზვნები ჯერ სოხუმში წაიყვანეს, დაკითხეს და აიძულებდნენ აფხაზური „პასპორტების" აღებას. ბერებმა და მონაზვნებმა ამ დოკუმენტების აღებაზე უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ ისინი მხოლოდ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ, ისინი აფხაზეთიდან გააძევეს. ბერებმა ადმინისტრაციული საზღვარი ენგურის ხიდზე გადაკვეთეს და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ. ამ დროს, რუსული ჯარის ნაწილები ხუთი წუთის განმავლობაში ჰაერში იარაღს ისროდნენ, ალბათ, ხიდზე ბერების მომლოდინე ხალხის დაშინების მიზნით“*[2]

არსებული პრობლემები არც შემდგომ აღმოფხვრილა, დღესაც, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აქტუალურია რელიგიური საქმიანობის შეზღუდვა, განსაკუთრებით - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მიმართ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი, ბოლო სამი წლის განმავლობაში, აისახა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებშიც.[3]

---

[1] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=11115&lang=geo

[2] https://www.state.gov/documents/organization/132827.pdf

[3] **International Religious Freedom Report for 2014** *https://www.state.gov/documents/organization/238594.pdf*
*„...Individuals living outside Abkhazia and South Ossetia continued to face difficulties crossing their administrative boundaries and encountered difficulties visiting the gravesites of family members inside of the territories, especially in South Ossetia. Authorities allowed visits on an inconsistent basis, such as on religious holidays.*
*– Religious minorities also reported discrimination on the basis of religion in educational institutions. Restrictions on religious activities in the regions of Abkhazia and South Ossetia, which remained outside the control of the central government, impacted the GOC and Jehovah's Witnesses, in particular.*
*GOC reported that it was not. In South Ossetia, the authorities did not permit services in GOC churches near the ethnic Georgian villages of Nuli, Eredvi, Monasteri, and Gera." (2014).*
**International Religious Freedom Report for 2015** *https://www.state.gov/documents/organization/256403.pdf*
*Restrictions on religious activities in the regions of Abkhazia and South Ossetia, which remained outside the control of the central government, affected the GOC and Jehovah's Witnesses, in particular. (2015).*
**International Religious Freedom Report Georgia 2016** *https://www.state.gov/documents/organization/269060.pdf*
*The de facto government authorities in the Gali district of Abkhazia reportedly did not permit GOC clergy to conduct religious services in any of the four GOC churches and ethnic Georgians were unable to attend services in their own language. According to a SARI report, the ethnic Georgian population in the district reportedly traveled to Zugdidi and attended worship secretly at night, especially during major holidays, because the GOC clergy was not permitted to*

## შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილი

მსგავსი მძიმე მდგომარეობაა შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილშიც, სადაც, უმრავლეს მართლმადიდებლურ ტაძრებში, წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს, იქ მომსახურე სასულიერო პირთა უმრავლესობა ტერიტორიიდან გამოდევნილია, ხოლო დარჩენილი მომსახურე სასულიერო პირები უკიდურეს შევიწროებას განიცდიან. უმძიმეს მდგომარეობაშია ქართული საკულტო ნაგებობები, გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს ხშირად ეზღუდება უფლება მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა საფლავები და დაესწროს ღვთისმსახურებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილ ტაძრებში.

## მიტროპოლიტ ისაიასთვის გადაადგილების შეზღუდვისა და შევიწროების შესახებ

იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაცია ცხინვალის რეგიონსა (ყოფილ სამხრეთ ოსეთს) და აფხაზეთს დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარებს, რუსეთის საპატრიარქოსთვის, დეკლარირებულად, აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მოიაზრება. საქართველოს ეკლესიის ცხინვალისა და ნიქოზის მიტროპოლიტი, ისაია ჭანტურია, 2008 წლის ომამდე და შემდგომაც, შეუფერხებლად გადაადგილდებოდა ახალგორის მიმართულებით; თუმცა. 2014 წლის ზაფხულში, მას ეს შესაძლებლობა რუსმა სამხედროებმა შეუზღუდეს. იმ დროისთვის, მეუფე ახალგორის მხარეს, ლარგვისის მონასტერში იმყოფებოდა. რუსი სამხედროების მიერ დაყენებული პირობის თანახმად, მიტროპოლიტს ეძლეოდა უფლება, ერთჯერადად გადაელახა საზღვარი და დაბრუნებულიყო ნიქოზში, თუმცა ამის შემდგომ, იგი ახალგორის მიმართულებით გადაადგილებას ვეღარ შეძლებდა. მეუფემ უარი თქვა ამ „შეთავაზებაზე“. ორი წლისა და შვიდი თვის შეჯიბრი ნებისყოფის სიმტკიცესა და გამძლეობაში - 2016 წლის დეკემბერში დასრულდა: მეუფეს მისცეს საშვი - ორივე მხარეს გადაადგილების უფლებით, წლის ბოლომდე.[4]

„სამხრეთ ოსეთის დე–ფაქტო ადმინისტრაციას არ მოსწონს მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამი (ლარგვისის, იკორთისა და წირქოლის), ქართულ ენაზე მოქმედი მონასტერი. სამხრეთ ოსური სახელისუფლებლო მედია წერს, რომ ქართველ მღვდელმსახურებს მიეცათ წინადადება, მიერთებოდნენ ალანიის ეპარქიის იურისდიქციას, წინააღმდეგ შემთხვევაში -დაეტოვათ ტერიტორია“.[5]

ეს დასტურდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე, ყოველკვარტალური ანგარიშით.[6]

ერთ-ერთ ბოლო ანგარიშში, სადაც საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიებზე

---

*conduct services openly.*
*Restrictions continued on religious activities in the regions of Abkhazia and South Ossetia, which remained outside the control of the central government. According to a SARI report, GOC clergy were unable to conduct religious services in Abkhazia and in both South Ossetia and Abkhazia GOC religious statues and church frescoes had been defaced. (2016)*

[4] წყარო: „ამერიკის ხმა“ (05.01.2017) https://www.amerikiskhma.com/a/occupied-zone-and-father-isaia/3664476.html

[5] https://www.amerikiskhma.com/a/nikozi-georgian-services/3884570.html

[6] http://www.mfa.gov.ge/Occupied-Territories/ყოველკვარტალური-ანგარიშები.aspx

არსებულ მდგომარეობაზე, მოყვანილია შემთხვევა, როცა ეროვნებით ქართველი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი მამაკაცის დაკავება იმ დროს მოხდა, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი შვილის დაბადების დღისა და ქრისტეშობის აღსანიშნავად, სალოცავში სანთლების დასანთებად იყო წასული.[7]

დასახელებულმა ფაქტმა ასახვა ჰპოვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში[8]

## ქართული საკულტო ნაგებობების უმძიმესი მდგომარეობა

აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებზე უამრავი ქართული მართლმადიდებლური ტაძარია, რომლებსაც ყურადღებას ვერ აქცევენ ქართველი სასულიერო პირები; შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებულ ტაძრებში შეინიშნება თვითნებური გადაკეთების და დაზიანების მრავალჯერადი ფაქტი, რომელთა არასრული სია ასე გამოიყურება:

- ოკუპირებული **სამაჩაბლოს** რეგიონი - 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს დანგრეული და დაზიანებული ძეგლები: **ნიქოზის** სამონასტრო კომპლექსი (IX ს.), **ხეითის** მთავარანგელოზთა ეკლესია (XVIII), საომარი მოქმედებების დროს დაიწვა **სვერის** წმ. გიორგის ხის ეკლესია (XIX), დაზიანდა **ქემერტის** 1999 წელს აგებული მთავარანგელოზთა ეკლესია.

  2008-2014 წლებში ძეგლებზე ჩატარებული არალეგალური სარესტავრაციო (სარემონტო) სამუშაოები:

  ცხინვალის ცენტრში მდებარე 1718 წელს აგებულ **ღმრთისმშობლის მიძინების** საკათედრო ტაძარს სამხრეთიდან მიაშენეს მცირე ზომის ეკვდერი, რამაც დაფარა 1718 წელს შესრულებული ქართული საქტიტორო წარწერა. ახალი კარიბჭე აიგო ჩრდილოეთის მხრიდანაც;

  არალეგალური სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა **თირის** მონასტერშიც (მე–13–მე–17 სს.);

  2014 წელს დაიწყო **აჩაბეთის** ციხის (მე–16 ს.) „აღდგენა“. სარემონტო სამუშაოების შესრულება არაკვალიფიციურმა ხელოსნებმა განახორციელეს, სამუშაოებში მოხალისეებად სკოლის მოსწავლეებსაც იხმარდნენ.

[7] *„On 7th January 2017, along the occupation line with Tskhinvali region, the Russian FSB officers abducted a local resident from the adjacent village. The local resident was abducted when approaching local church in order to celebrate Orthodox Christmas Day.“* http://www.mfa.gov.ge/getattachment/946375d2-9770-4b28-8364-04bb4bda4659/First-MFA-report-for-2017-docx.pdf.aspx

[8] **International Religious Freedom Report for 2015** https://www.state.gov/documents/organization/256403.pdf
*SARI reported that although GOC Metropolitan of Nikozi and Tskhinvali Diocese Isaiah Chanturia continued his work in South Ossetia, he did not leave the diocese fearing he would be unable to return to fulfill his religious duties.*
**U.S. Department of State's Country Reports on Human Rights Practices for 2016** https://www.state.gov/documents/organization/265634.pdf
*"de facto authorities and Russian occupying forces limited this freedom [of movement] in Abkhazia and South Ossetia. . . . De facto authorities and Russian forces in the occupied regions of Abkhazia and South Ossetia also restricted the movement of the local population across the administrative boundaries for medical care, pension services, religious services, and education."*

არაპროფესიული რესტავრაციის ყველაზე მძიმე შედეგი **გომართას** წმ. გიორგის ეკლესიის მაგალითზე (მე–16 საუკუნე) აისახა. 2014 წელს ჩატარებულმა „სარესტავრაციო" სამუშაოებმა არა მხოლოდ დააზიანა, არამედ სახე უცვალა ეკლესიას. დასავლეთი ეკვდერი ერთიანად – როგორც გვერდითი კედლები, ასევე სახურავი – ცემენტით შეილესა, რამაც დაარღვია და დაამახინჯა ეკლესიის საერთო პროპორციები;

**გერის** წმ. გიორგის ეკლესიას (გვიანი შუა საუკუნეები) უტარდება აღდგენითი სამუშაოები. როგორც ცნობილია, ეკლესიას მოანგრიეს დასავლეთ კეხზე აღმართული სამრეკლო, რის შემდეგაც დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტერიერში;

**წუნარის** (ხეთაგუროვის) ღმრთისმშობლის ეკლესიის (მე–14 ს.) საკურთხეველი დაიფარა რუსული სტილის მოხატულობით. რელიეფური გამოსახულებებით შემკული ძველი, ქვის იკონოსტასი ვარდისფერი–თეთრი ფერით დაიფერა.

ასეთივე ბედი გაიზიარა ცხინვალის **ზღუდერის** წმ. გიორგის ეკლესიამ (მე–17 ს.). იქაც ინტერიერი ერთიანად მოიხატა რუსული სტილის მხატვრობით, აიგო ბეტონის არატრადიციული ფორმის კანკელი და იატაკზე დაიგო მეტლახის ფილები.

ცხინვალში, სომხის ქუჩაზე მდებარე **წმ. გიორგის ეკლესია** (გვიანი შუა საუკუნეები) მთლიანად შეილესა და შეიღება თეთრი და ღია მწვანე ფერით;

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო კულტურის სამინისტრო გეგმავს **იკორთას** მთავარანგელოზთა (1172 წ.) ეკლესიის, თირის მონასტრის (მე–13–მე–17 სს.), **გომართას** წმ. გიორგის ეკლესიის (მე–16 ს.), ცხინვალში **კავთის** წმ. გიორგის ეკლესიის (მე–10–მე–11 სს.), არმაზის წმ. გიორგის ეკლესიის (864 წ.), **ყანჩაეთის კაბენის**, **ღმრთისმშობლის მონასტრის** (IX-XVIII სს.) აღდგენა–რეკონსტრუქციას.

შიდა ქართლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მონიტორინგი თითქმის ვერ ხორციელდება და დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მდგომარეობა თუა ცნობილი. იქ არსებული ძეგლების უმეტესობის ბედი უცნობია. მით უფრო, არ არსებობს ინფორმაცია იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ; თუმცა, ნათელია, რომ ყველა იქ დარჩენილი ისტორიული ძეგლი დღეს დაუცველია და საფრთხის ქვეშაა.

- **აფხაზეთის ა. რ.** - გადაათეთრეს და უხეში ჩარევით ისტორიული სახე დაუკარგეს **დრანდის** ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელიც, სხვადასხვა მოსაზრებით, მეექვსე ან მერვე საუკუნეშია აგებული. ბოლო ხანებში, რუსული მონასტრის მშენებლობისას, თვითნებურად მოთხარეს ეზო და გაანადგურეს ეკლესიის გარშემო არსებული არქეოლოგია. „ამასთან, დრანდის ეკლესიის ჩრდილოეთ ნაწილში იყო ემბაზი, ანუ ჯვრის ფორმის აუზი, რომელშიც ხდებოდა ნათლობა. შემორჩენილი იყო ემბაზის ნაწილი, რომელიც, თითქოსდა, რესტავრაციის გამო, ზემოდან დააბეტონეს და ლითონისგან აგებული მსგავსი კონსტრუქცია დააშენეს, ანუ - ფაქტობრივად გაანადგურეს თავდაპირველი ემბაზი. **ილორის წმინდა გიორგის სახელობის** ეკლესია

თეთრად გადაღებეს და რუსული გუმბათი დაადგეს. ტაძარს დამატებული აქვს ქართული არქიტექტურისთვის სრულიად უცხო, რელიეფური ელემენტები. **ბედიის** მონასტერში კი, განადგურებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის - ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა; ასევე, დაზიანებულია მონასტრის შიგნით არსებული თითქმის, ყველა ქართული წარწერა და ორნამენტი.

„უკანონო აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა **ათონში,** სიმონ კანანელის სახელობის ეკლესიაში**,** რომელიც მე-8, მე-9 საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესიას გუმბათი დაადგეს და პრაქტიკულად, სრულიად გადააკეთეს.

„აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ **ანაკოფიის** ეკლესიაში (მეცხრამეტე საუკუნეში), ბერებს შეგროვებული ჰქონდათ არქიტექტურული დეტალები, რომლითაც საკურთხევლის დიდი კედელი იყო აშენებული. რომელიც პნევმატური ჩაქუჩებით დაანგრიეს - მათი მუზეუმში გადატანის მიზნით“.

„სულ ახლახან ინციდენტი მოხდა წებელდაში - 2011 წელს, დე ფაქტო ხელსუფლების გადაწყვეტილებით, სოფელ **წებელდას** მიმდებარე ტერიტორიაზე ... პოლიგონის გაკეთების მიზნით, ბულდოზერით შევიდნენ და მოთხარეს ძველი ეკლესია, რომელიც მე-8, მე-9 საუკუნეებით თარიღდებოდა. იქვე იყო ნასახლარიც.

„ ...*(მიმდინარეობს)* საოკუპაციო რეჟიმის პირობებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამახინჯება, რაც სრულიად მიუღებელია. საქმე გვაქვს, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპეტენციის ნაკლებობის, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად მიზანმიმართულად, ამ ძეგლების პირვანდელი სახის დამახინჯებასთან - ე.წ. რესტავრაციის პროცესით, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაცია ახორციელებს. შავი არქეოლოგია, არტეფაქტების უკანონოდ გატანა საქართველოს ტერიტორიიდან არის ძალიან სერიოზული პრობლემა“, - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი.[9]

არსებულ ვითარება აღწერილია ქართულ წყაროებშიც[10] და ასევე, ასახულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.[11]

---

[9] http://reginfo.ge/politics/item/2947-apxazuri-mxare-uwvelesi-qristianuli-tawrebis-dazvas-iuneskos-da-gaeros-stxovs

[10] 1. http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=2&id_artc=32141
2. http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=2&id_artc=25513
3. https://www.amerikiskhma.com/a/state-of-the-churches-in-abkhazia-138045188/538078.html
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/2236908.html
5. https://www.radiotavisupleba.ge/a/istoriuli-kvali-afkhazetshi/26685317.html
6.http://www.newposts.ge/?l=G&id=80931-%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98,%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98

[11] **Georgia 2014 International Religious Freedom Report https://www.state.gov/documents/organization/238594.pdf**
*The GOC and Georgian government officials said that the de facto Abkhaz authorities continued to carry out restoration work on churches historically claimed by the GOC, including the Likhny Monastery in Gudauta, Abkhazia, and modified the architecture to eliminate culturally Georgian architectural characteristics.*

# ოკუპირებულ ტერიტორიებზე მართლმადიდებელ მრევლში არსებული ქაოსი

საქართველოს ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მართლმადიდებელი მრევლის დიდი ნაწილი ან იძულებით გამოდევნილია საცხოვრებელი სახლიდან (ეროვნებით ქართველები), ან არ ეძლევათ საშულება, დაესწრონ ღვთისმსახურებას მათ მშობლიურ ენაზე; შესაბამისად, მართლმადიდებელ მრევლზე თავის იურისდიქციას ვერ ავრცელებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის დაქვემდებარების ქვეშ არსებული ეკლესია-მონასტრების ნაწილი ან მიტოვებულია და ზიანდება, ან გადაკეთებულია.

ამასთანავე, ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ქაოსი, რაც შექმნილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ერთი მხრივ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დეკლარირებულად ცნობს ამ ტერიტორიებზე საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციას, მაგრამ იმავდროულად, ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ინტენსიურად მიმდინარეობს რუსული ეკლესიების შენება ანდა, ქართული ეკლესია-მონასტრების რუსულად გადაკეთების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალში, რუსული ეკლესიის მშენებლობა რუსეთის საპატრიარქოს ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსის, ზოსიმეს (ოსტაპენკო) უშუალო ჩართულობით ხორციელდებოდა.[12]

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ა.რ.-ში დარჩენილ მართლმადიდებელ მრევლში. მათი ნაწილი, ეთნიკურად ქართველი, ან მოკლებულია ქართულენოვან ღვთისმსახურებას, ან მალულად უწევს საცხოვრებელი სახლების დატოვება და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა; არაქართველი მართლმადიდებლების მრევლი კი გაყოფილია ორ ნაწილად: ერთი ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს ბესარიონ აპლია, პრორუსულ გზას ადგას და ეპარქიის შექმნას რუსეთის ეკლესიისგან ითხოვს. მეორე დაჯგუფება კი, რომელთაც დოროთეი დბარი მეთაურობს, ცდილობს დაუკავშირდეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და მისი იურისდიქციის ქვეშ ჩამოყალიბდეს მიტროპოლიად.[13]

არც კონსტანტინეპოლის, არც რუსეთის და არც საქართველოს ეკლესია არც ერთ ამ დაჯგუფებას ოფიციალურად არ აღიარებს, თავად დბარის დაჯგუფება კი პროტესტს უცხადებს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების ნებისმიერ მცდელობას, რომ აფხაზეთის საეკლესიო საკითხი მათი ოფიციალური ჩართულობის გარეშე მოგვარდეს.[14]

---

[12] http://www.ng.ru/ng_religii/2015-07-15/4_osetia.html
http://sputnik-ossetia.ru/South_Ossetia/20150701/272569.html

[13] http://www.nsp.ge/view.php?id=5594

[14] https://anyha.org/aap-aheilak-ahwamta-16-abtzara-2017/

# ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016–2017 წ.)

სახელმწიფოს აქვს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ და ამ სტრატეგიის შესაბამისი „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ - წლების მიხედვით. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, სააგენტო სისტემატურად ატარებს ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

## საჯარო მოხელეების ტრენინგები

„ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წ. წ.)“ ფარგლებში, სააგენტომ ჩაატარა ტრენინგები „სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის“ თემაზე.

სულ ჩატარდა 6 ორდღიანი ტრენინგი, თითოეულ ტრენინგზე ჩატარდა 4 სემინარი, ერთი სემინარის ხანგრძლივობამ ორი საათი შეადგინა.

სულ, საქართველოს მასშტაბით, ტრენინგში 200-მა საჯარო მოხელემ მიიღო მონაწილეობა.

ტრენინგმა, საქართველოს მასშტაბით, მოიცვა აჭარის ა/რ-ის ადმინისტრაციაში შემავალი თვითმმართველი ქალაქის, ბათუმის მერიისა და საკრებულოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უმაღლეს საბჭოსთან ურთიერთობის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციების - გუბერნიებისა და მუნიციპალიტეტის მერიების, საკრებულოებისა და გამგეობების და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა.
ტრენინგზე დამსწრე საჯარო მოხელეთა შერჩევასა და სამუშაო შეხვედრების შედეგების დანერგვის მონიტორინგსა და კოორდინაციას ახორციელებდნენ გუბერნია და მუნიციპალიტეტი.

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2015-5016 წლებში მოამზადა სახელმძღვანელო - „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში“. (მითითებულ ბმულზე იხილეთ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია http://religion.geo.gov.ge/geo/document/saxelmdzghvanelo-sekularizmi-da-religiuri).

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სამხარეო ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიების, გამგეობებისა და საკრებულოების თანამშრომელთათვის. სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიანი რელიგიური პოლიტიკის ფარგლებში სეკულარული მმართველობისა და საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა.

## ტრენინგები შ. ს. ს-ს თანამშრომლებისათვის

ამავე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მიმდინარეობს ტრენინგები შინაგან საქმეთა სამინისტროში. ტრენინგები მოიცავდა თემებს: სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი; სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა; საქართველოში გავრცელებული რელიგიები და მათი საქმიანობის მიმოხილვა; რელიგიის თავისუფლება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით; დისკრიმინაციის დაუშვებლობა და რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების თავისებურებები; ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვა; სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.

ტრენინგებს ესწრებოდნენ: შ.ს.ს-ს ტერიტორიული ორგანოების, კრიმინალისტიკური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები და დეტექტივ-გამომძიებლები.

ამჟამად ჩატარებულია 7 ტრენინგი და გადამზადებულია შ.ს.ს.-ს 200-ზე მეტი თანამშრომელი.

ტრენინგები ჩატარდა:

- 3 ტრენინგი თბილისში, (30 ივნისი, 28 ივლისი, 25 აგვისტო);
- 1 ბათუმში - 29 სექტემბერი;
- 1 თელავში - 27 ოქტომბერი;
- 1 ქუთაისში - 1 დეკემბერი;
- 1 ზუგდიდი - 26 დეკემბერი.

სულ - 7 ტრენინგი.

შ. ს. ს.-თან ტრენინგების სერია გაგრძელდება ქვეყნის ყველა რეგიონში.

## რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო დაწესებულებათა ქცევის წესებში

ამავე სამთავრობო სამოქმედო გეგმის 11.1.2.4. პუნქტის ფარგლებში, სააგენტომ შეისწავლა საერთაშორისო და უცხო ქვეყნების გამოცდილება საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტების შემუშავებასა და ისტიტუციონალიზაციასთან, ასევე, ამ სტანდარტების შესაბამის დოკუმენტებში ასახვის ფორმებთან დაკავშირებით. სააგენტო, ასევე, აქტიურად მუშაობდა საქართველოს საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებს“, სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაემატა მე-7 მუხლი (რელიგიური ნეიტრალიტეტი).

# საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

## ინტერრელიგიური კალენდარი

2014 წლიდან შეიქმნა ევროპაში უნიკალური, ინტერრელიგიური კალენდრის პროექტი. პროექტი გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. პროექტის მიზანია განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის (ამჯერად- 11 რელიგიური მიმდინარეობა) ურთიერთცნობადობის ამაღლება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ კალენდარი ვრცელდება არა მხოლოდ რელიგიურ თემებში, არამედ, პრაქტიკულად, ყველა საჯარო უწყებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართულებით.

ინტერრელიგიური კალენდარი აერთიანებს თერთმეტი რელიგიური თემის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის, ებრაული თემის, კათოლიკური ეკლესიის, მუსლიმი თემის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანთა თემის, ეზიდთა თემის, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-ბაპტისტური, ევანგელურ-პროტესტანტული და სახარების რწმენის ეკლესიების რელიგიურ დღესასწაულებს.

2017 წელს შემუშავდა ინტერრელიგიური კალენდრის ახალი ფორმატი. კალენდარი ბრაილის შრიფტითაა დაბეჭდილი უსინათლოთათვის. რელიგიის სააგენტო ინტერრელიგიური კალენდრის ახალი ფორმატით აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ.

# რელიგიური რუკა

ინტერრელიგიური დიალოგის ფორმატში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, გასულ წელს დაიწყო პროექტი - „რელიგიური რუკა“. შეიქმნა რელიგიური რუკის ორი ვარიანტი - რეგიონული და რაიონული. რუკებში ასახულია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. გამოიცა რელიგიური რუკის ნაბეჭდი და შემუშავდა ელექტრონული ვერსია (http://religion.geo.gov.ge/statmaps/). რელიგიური რუკის ნაბეჭდი ვერსია მოიცავს იმ მასალებს, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებულ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც - საქართველოში ცხოვრობს 3 097 573 მართლმადიდებელი, 398 677 მუსლიმური თემის, 109 041 სომეხთა სამოციქულო თემის, 19 195 კათოლიკური თემის წარმომადგენელი, 12 395 იეჰოვას მოწმე, 8 591 ეზიდური თემის, 1 417 იუდეური თემის წარმომადგენელი. ამასთან, მონაცემებში აღნიშნულია კატეგორია „სხვა” - 66 915, სადაც იგულისხმება კატეგორიები - აღმსარებლობა არ არის მითითებული, უარი პასუხზე, არც ერთი და სხვა, მცირერიცხოვანი კონფესიების წარმომადგენლები. ეს ინფორმაცია განთავსდა, ასევე, ელექტრონულ რუკაზეც.

რუკების პრეზენტაცია გაიმართა 2017 წლის 25 მაისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები დაესწრნენ. პრეზენტაციაზე წარმოადგინეს რელიგიური რუკის ორივე ვარიანტი.
როგორც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ აღნიშნა, საქართველოს ისტორიის მანძილზე მსგავსი სახის პროდუქტი არ შექმნილა. „საქართველოში პირველად შეიქმნა რელიგიური რუკა. სააგენტომ, დაახლოებით, წელიწადნახევრის განმავლობაში იმუშავა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან კოორდინაციაში, შესაბამისად, დაიდო პროდუქტი. პროექტი განხორციელდა ორ ვარიანტად, რაც გულისხმობს ერთი მხრივ - რეგიონულ დონეზე რელიგიური რუკის შექმნას და მონაცემთა ბაზის არსებობას და მეორე გახლავთ რაიონებისა და ქალაქების დონეზე. ამასთან, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ელექტრონული ვერსიის შექმნა, რაც ჩვენს საიტზე უკვე ატვირთულია. რაც ყველაზე საინტერესოა, ამას დაემატა საკულტო ნაგებობების რუკის შექმნაც. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში რელიგიური ცნობიერების ამაღლებას, რელიგიებს შორის ურთიერთკომუნიკაციას და, რა თქმა უნდა, წაადგება ტურიზმის განვითარებას”, - აღნიშნა ზაზა ვაშაყმაძემ.

ამავდროულად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო საკულტო ნაგებობების რუკის დამუშავება. ამ ეტაპზე დამუშავებულია და 3D ფორმატში ატვირთულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე 25-მდე საკულტო ნაგებობა, მათ შორის - მართლმადიდებლური, სომხურ-სამოციქულო, კათოლიკური, ევანგელურ-ლუთერული და ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიები, ასევე, მუსლიმური, იუდეური, იეზიდური საკულტო ნაგებობები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხსენებული საკულტო ნაგებობების ელექტრონულ რუკაზე მუშაობა მისი შევსების და ინფორმაციულად გამდიდრების მიზნით.

## „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – მეორე კონფერენცია

15 ნოემბერს გაიმართა „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ კონფერენცია, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა.

2016 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, გაიმართა პირველი კონფერენცია დევიზით - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, რომლის მიზანი იყო საქართველოში მოქმედ რელიგიათა წარმომადგენლების პოზიციების დაფიქსირება ჩვენი საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე და მოსაზრებათა შეჯერება განსხვავებულ კონფესიათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. კონფერენციამ მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მარადიულ ფასეულობებს.

2017 წლის 15 ნოემბერს, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, რელიგიის სააგენტოს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ - II კონფერენციის ფორმატში, სახელწოდებით - „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“.

კონფერენცია - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ - ყოველ მომდევნო წელს გაიმართება.

## სარეკლამო კამპანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

2017 წელი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის საკმაოდ პროდუქტიული იყო. ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში - საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით (პუნქტი 11.1.2.1.) - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა საზოგადოებასთან ურთიერთობის ორთვიანი კამპანია რწმენისა და რელიგიური თავისუფლების თემასთან დაკავშირებით.

კამპანიის მიზანი იყო საქართველოში განსხვავებულ რელიგიურ თემებსა თუ ჯგუფებს შორის ცნობადობის ამაღლება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა რელიგიური თავისუფლების, როგორც ადამიანთა უზენაესი უფლების თაობაზე სატელევიზიო

კლიპისა და ფოტომასალის მომზადება. კლიპი განთავსდა (სოციალური კლიპის ეგიდით) საზოგადოებრივი მაუწყებლის სექტემბრის ბადეში - სატელევიზიო ბადის „ჭრისას“. ფოტომასალა კი გავრცელდა რელიგიის სააგენტოს ვებ-გვერდითა და სოციალური ქსელით. ინტერრელიგიური შინაარსისა და რწმენის თავისუფლების იდეის მატარებელი საუკეთესო ფოტო გამოიფინა თბილისში , რამდენიმე ბანერზე, ხალხმრავალ ადგილებსა და მოძრაობით დატვირთულ ქუჩებზე.

2017 წლის 26 ივლისს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეზოში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ პროექტის - „რელიგიური შემწყნარებლობა საქართველოში“ ფარგლებში გადაღებული ვიდეორგოლის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, რელიგიურ ორგანიზაციათა ლიდერები.

## ტოლერანტობის დღე

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია - ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს საქართველოში არსებული რომელიმე რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.

საანგარიშო პერიოდის პირველ წელს საქართველოში არსებულ რელიგიურ თემებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საპატრიარქო მასპინძლობდა. 2017 წლის 16 ნოემბერს კი მასპინძელი იყო ქართველ ებრაელთა თემი - დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში.

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს აქტივობები

## საჯარო გამოსვლები და ლექციები

1. **ავტოკეფალიის 100 წლისთავის აღნიშვნა საქართველოს პარლამენტში (28 მარტი)**

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო სხდომა და მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს პრემიერ- მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, წმინდა სინოდის წევრები, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე მოხსენებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე - „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა საქართველოში" .

2. **ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (23 მარტი)**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში. კონფერენციას სიტყვით მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ.

3. **გამოსვლა ადამიანის უფლებათა კომიტეტში (4 დეკემბერი)**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები და აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი იონათან ბრადტი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყმაძის განცხადებით, მისასალმებელია, როცა საქართველოს პარლამენტში რელიგიების წინაშე მდგარ სხვადასხვა გამოწვევაზე მსჯელობა რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლების ჩართულობით მიმდინარეობს. გამოითქვა სურვილი - ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდეს ყველა ის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში რელიგიური ტოლერანტობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

4. **ტრანსკავკასიური დიალოგი (17 მარტი)**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა „ტრანსკავკასიური დიალოგი",

რომელიც მიეძღვნა ბრატისლავას პროცესის 25 წლისთავს, მის შედეგებს და პერსპექტივებს; ასევე, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის 25 და კავკასიის უსაფრთხოების მე - 15 წლისთავს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს აკადემიური წრეების, მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი) დიპლომატიური კორპუსის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების (სლოვაკეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი) საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები. შეკრებილთ მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ, რომელმაც ისაუბრა რელიგიური თავისუფლების შესახებ საქართველოში და სტუმრებს გააცნო სახელმწიფო პოლიტიკა და მიღწეული შედეგები.

5. **საჯარო ლექცია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (28 მარტი)**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიასა და ავტოკეფალიის აღდგენას ეხებოდა.

6. **კონფერენცია „საერთაშორისო ტერორიზმი და მისი გეოპოლიტიკური გამოვლინებები 21-ე საუკუნეში“ (3 აგვისტო)**

ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრში შედგა საქართველოში ეზიდთა სასულიერო საბჭოს ინიციატივით მოწყობილი კონფერენცია „საერთაშორისო ტერორიზმი და მისი გეოპოლიტიკური გამოვლინებები 21-ე საუკუნეში“, რომელიც 2014 წლის 3 აგვისტოს, ერაყში დაწყებული ეზიდების გენოციდის 3 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ.

7. **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო შეხვედრა (15 მარტი)**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, „ლოპოტა რეზორტზე” გაიმართა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უწყებათაშორისი კომისიის“ სამუშაო შეხვედრა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ წარადგინა რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიული ხედვები და ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტები და პროგრამები.

## მედიასთან ურთიერთობა

დემოკრატიის ძირითადი პრინციპი - გამჭვირვალეობა - რელიგიის საკითხთა სააგენტოს უმთავრესი ღირებულებაა. სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით ახორციელებს სააგენტო თავის საქმიანობას. მრავალრელიგიურობა ჩვენი ქვეყნის კულტურული ფასეულობაა, შემწყნარებლობა კი ჩვენი საზოგადოების ტრადიციული ღირებულება,

რომელსაც შესანიშნავად ეთანადება დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებები. სააგენტოს საინფორმაციო პოლიტიკა სწორედ ამ ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ პრინციპებზე დაყრდნობით ახორციელებს თავის საქმიანობას. საანგარიშო წელიწადშიც, სააგენტო აგრძელებდა ამ პოლიტიკის განხორციელებას როგორც გრძელვადიანი სტრატეგიის მიმართულებით, ასევე ოპერატიული ინფორმაციის საშუალებითაც.

2017 წელს მომზადდა რამდენიმე ინტერვიუ პრესისათვის. ჩვენთან პარტნიორობას აგრძელებდნენ ქართული პრესა და ტელევიზია. საინფორმაციო სააგენტოები „ინტერპრესი" და "For. ge" „Ipress"-ი. გაზეთები -„რეზონანსი", „კვირის პალიტრა" . ჩვენს მიმართ მაღალ ინტერესს ამჟღავნებდნენ ჟურნალები „ლიბერალი" და „ტაბულა".

სააგენტოებმა, პრესამ და ტელევიზიებმა ვრცლად გააშუქეს როგორც რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს ვიზიტები, ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები, ასევე, რელიგიურ კონფესიებთან ჩვენი ურთიერთობა. საანგარიშო წელსაც ჩვენი პარტნიორი იყო ინტერნეტპორტალი „ომი და მშვიდობა".

სახელმწიფოსრელიგიურიპოლიტიკისშესახებგამოქვეყნდამასალებისაზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებითაც.

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მოამზადა და გააშუქა 193 ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც 45-მა სხვადასხვა ინტერნეტპორტალმა გადაბეჭდა. მომზადდა რადიოინტერვიუ (რადიო თავისუფლება), არაერთი სატელევიზიო ინტერვიუ.

სააგენტო თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ თითქმის, ყველა ტელევიზიასთან - საზოგადოებრივ მაუწყებელთან (პირველი არხი, აჭარის ტელევიზია, პირველი რადიო), ტელეკომპანიებთან - იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, იბერია, ერთსულოვნება, GDS, TV პირველი, ობიექტივი, სტუდია „რე" . სულ გადაიცა 74 სიუჟეტი, მათ შორის, 65 სიუჟეტი - განსხვავებული სიხშირით.

ოპერატიულ რეჟიმში მუშაობდა ჩვენი ვებ-გვერდი, ფეისბუქი, ტვიტერი. ფეისბუქ-ლაივის საშუალებით განხორციელდა პირდაპირი ჩართვები არაერთი შეხვედრიდან. ფეისბუქის მომხმარებლებს საშუალება მიეცათ ცოცხალ რეჟიმში ედევნებინათ თვალი ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისათვის.

2017 წელს შედგა პრესკონფერენცია საქართველოს მოსახლეობისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე - მოხეს კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ კომისიის წევრებისგან მიეღოთ ინფორმაცია მოხესთან დაკავშირებულ ურთიერთშეთანხმებულ გადაწყვეტილებაზე.

## პუბლიკაციები

სააგენტო სისტემატიურად გამოსცემს პუბლიკაციებს რელიგიის თავისუფლების შესახებ - ქართულ ენაზე. მათ შორის, აღსანიშნავია სახელმძღვანელო - სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში; ბ) სერია - რელიგია და სამართალი (ჯერ-ჯერობით 3 ტომად):

I - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლებაზე", ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით (სულ 62 საქმე);

II - „გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ";

III - „რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ".

# რელიგიურ უმცირესობებისთვის გაწეული დახმარება და საქველმოქმედო აქციები

სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებთან საქართველოს რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრები რელიგიური უმცირესობების საჭიროებების მოსაგვარებლად. მაგალითად, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მხარდაჭერით, საქველმოქმედო აქცია ჩატარდა თიანეთის, ბათუმის, ახალციხის, ადიგენის, საჩხერის, ვანის, ასევე, ხულოს მაღალმთიანი სოფლებისა და ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობისათვის. ასევე, სააგენტომ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსა და გერმანული ორგანიზაცია - „მისია ფრიდენსბოტე.ი.ვი"-ს საქართველოს ფილიალის ჩართულობით, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა პანკისის ხეობის მოსახლეობას. სააგენტოს ინიციატივითა და მუსლიმთა სამმართველოს ხელშეწყობით, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში მოხდა დუისის მეჩეთის მიმდებარე სარიტუალო შენობის რეკონსტრუქცია.

საჭიროების მიხედვით, იმართება შეხვედრები პანკისის ხეობის მოსახლეობას, უხუცესთა საბჭოს წევრებსა და სააგენტოს წარმომადგენლობას შორის.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერით დახმარება გაეწია საქართველოში არსებულ როგორც უმრავლესობაში მყოფ რელიგიურ ორგანიზაციას, ასევე, უმცირესობებს.

**საქართველოს ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, საქართველოში მათი ისტორიის განმავლობაში პირველად, გადაეცათ ქ. თბილისში 5,500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე ეკლესია და შენობა-ნაგებობა.**

**საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას ფინანსური დახმარება გაუწია ადგილობრივმა თვითმმართველობამ; იგივე ეკლესიას ქ. გორში გადაეცა მიწის ნაკვეთი, ასევე, ქ. რუსთავში, ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას გადაეცა მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები - სოციალური საქმიანობებისათვის.**

**საქართველოს ბაპტისტური ეკლესიების კავშირს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დახმარებით, პირველად მათი არსებობის მანძილზე, მიეცათ საშუალება ქ. თბილისში აეშენებინათ ტაძარი, რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე გაიხსნა.**

**ქ. თბილისშივე, ტაძრის აშენების უფლება მიეცა და საკულტო ნაგებობა ააშენა საერთაშორისო ბაპტისტურმა ეკლესიამ (აშშ).**

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ორწლიანი ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად, მთავრობის დადგენილების თანახმად, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციას, ქ. რუსთავში, მოთხოვნილი 500 კვ.მ-ის ნაცვლად, გადაეცა 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკუთრებისა და ეკლესიის აშენების უფლებით.**

**თბილისის თვითმმართველობის მიერ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უშუალო რეკომენდაციით, ფინანსური დახმარება გაეწია იეზიდთა სასულიერო საბჭოს.**

# საზოგადოებასთან ურთიერთობა

## საერთაშორისო ურთიერთობები

1. **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვიზიტები უცხოეთში**

2017 წელს სააგენტოსთვის კვლავ მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაცნობა და მათი გაზიარება.

საანგარიშო პერიოდში რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორი ვიზიტი ჰქონდა საქართველოს საზღვრებს გარეთ:

